# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 14 ნოემბერი. 2019 წ. №225 (8891) | ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## წინ — წინაპრებისკენ!

# მიყვარხარ!

### პარაკლისი მეტეხის ხიდზე

**საქართველო მიყვარხარ, საქართველო მიყვარხარ, საქართველო მიყვარხარ**, — ამ სიტყვებით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მეტეხის ხიდზე შეკრებილ მრევლს და ასი ათასი მოწამის ხსენების დღე მიულოცა.

**ასევე აღავლინა ღვთისმშობლის ლოცვა. მეტეხის ხიდზე შეკრებილმა მრევლმაც პატრიარქს უპასუხეს შეძახილით — გვიყვარხარ!**

გუშინ ასი ათასი მოწამის ხსენების დღე იყო. ამ დღესთან დაკავშირებით, თბილისში ანჩისხატის სახელობის ეკლესიიდან მეტეხის ხიდამდე სტუდენტების მსვლელობა გაიმართა. მეტეხის ხიდზე კი მორწმუნეებმა მტკვარში სიმბოლურად ყვავილები გადაყარეს.

მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ილია მეორემ სასულიერო პირებთან ერთად დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა.



**ყოველი წლის 13 ნოემბერს მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს. საუკუნეების წინ ასი ათასი ქართველი სწორედ ამ დღეს შეეწირა წმინდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას.**

**ამ დღეს 100 ათასი ქართველი ჯალალედინის ბრძანებით სარწმუნოებისთვის 1227 წელს ეწამა. მათ მეტეხის ხიდზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და უფლის ხატების შეურაცხყოფა და სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვეს. უარის მიღების გამო, მათ თავები მოკვეთეს და მტკვარში ჩაყარეს...**

### ეკონომიკური პარადოქსები

## მეგაპროექტები „მეგობრებით“ ⑤ გარშემორტყმულ საქართველოში ⑥

## ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტი უფრო მეტია, ვიდრე საგანმანათლებლო-საინჟინრო პროექტი ⑧



## დიმიტრი ხუნდაძე:

# საკუთარ ხალხს ნაციონალური ჯოჯოხეთი ავაცილოთ!

**ვაქვეყნებ მიმართვას, რომელიც დღეს უმრავლესობას გავაცანი და თანამოაზრეებთან ერთად მოვამზადე — წერს სოციალურ ქსელში უმრავლესობის წევრი, მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე.**

**მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის სხდომაზე გუშინ არ იქნა გაზიარებული ჩვენი მოსაზრება, მე იქვე, ჩემს გუნდთან განვაცხადე, რომ ვიტოვებდი უფლებას, საჯარო გამეხადა ჩვენი არგუმენტაცია, ის, თუ რატომ არ ვემხრობი პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს.**

**მკითხველის თხოვნით დღეს უცვლელად გთავაზობთ ამ ტექსტს:**

### რას ვაკეთებთ და რას უნდა ვაკეთებდეთ?

**მეგობრებო, 7 წლის წინ, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ ქართველ ხალხთან ერთად ისტორიული არჩევანი გააკეთა თავისუფლების სასარგებლოდ და უარი უთხრა ადამიანის ჩაგვრაზე დაფუძნებულ რეჟიმს. სწორედ იმ დღეებში განაცხადა ჩვენმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა: „ეს არის ყველაზე ცუდი ხელისუფლება რაც ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ჩვენ მათ არ გავრიყავთ; ჩვენ ოპონენტებს მოვეპყრობით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქართველი ხალხი, ჩვენი კულტურა.“**

და ჩვენ არ გავრიყეთ ისინი, ვის ხელშიც ქართული სახელმწიფო ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდებოდა ტიპურ აღმოსავლურ დესპოტად და ჩვენი ხალხის ევრო-ატლანტიკური არჩევანისგან მისი ფორმალური დეკლარაციაღა იყო დარჩენილი; ვის მიერაც მონოპოლიზირებული მედიის, დატერორებული ბიზნესის, ნატანჯი პატიმრებით გადავსებული ციხეების და განადგურებული ან ნაყიდი ოპოზიციის პირობებში, დასავლეთს სულ უფრო უჭირდა ჩვენი მხარდაჭერა და, სავარაუდოდ, შეწყვეტდა კიდეც მას, უვადო მმართველობაგარანტირებული დიქტატორის ხელში, რომელსაც უდიდესი ძალისხმევის შედეგად გამოვტაცეთ ხელიდან მიტაცებული ქვეყანა და მტკიცედ და განუხრელად დავადექით ევროინტეგრაციის გზას, რაც გამოიხატა ნატოს ასპირანტ წევრობაში, ევროპასთან უვიზო რეჟიმის დაწესებაში, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერაში, თავდაცვითი შეიარაღების შესყიდვაში და დემოკრატიის, მედიის, მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის რეიტინგებში ჩვენი პოზიციის მუდმივ გაუმჯობესებაში — არასდროს საკუთარ ისტორიაში, საქართველო ასე ახლოს არ ყოფილა დასავლეთთან, როგორც დღეს.

იხ. 4 გვ.

## საქართველოს გადარჩენისთვის ლოცვა-კურთხევით დამაშვრალი...




**ისტორიულ სამაჩაბლოში, ივერთ სამკვიდროს ამ ძირძველ მხარეში, ოდითგანვე ზეობდა სიტყვა ქართული. აქ დაირწა ლიახვისპირელთა სახელოვანი მამულიშვილის, დიდი ილიას თანამებრძოლის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, მწერლის, გენიალური მთარგმნელისა და პუბლიცისტის ივანე მაჩაბლის აკვანი.**

როგორც ცნობილია, ღრმად მექართულესა და ჭეშმარიტად კლასიკოს მწერალს მიხეილ ჯავახიშვილს კარგა ხანს არ სცოდნია „საყველპურო“ მშობლიური ენა. ამიტომაც, შემთხვევით არ იყო, რომ ის წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის დირექტორის ილია წინამძღვრიშვილის რჩევა-დარიგებით, თავანკარა ქართულის შესასწავლად ჩვენს მხარეს ეწვია. იქ თავისი ქართულის დახვეწას ცდილობდა, რადგანაც ლიახვისხეობელები ყველაზე გამართული თვალადური ქართულით საუბრობდნენ.

**ნიშანდობლივია, რომ სოფელ ქურთაში დაიწერა მისი ადრინდელი მოთხრობა „ეკა“ და ასეც არის დათარიღებული — „1905 წ. სოფელი ქურთა, დიდი ლიახვის ხეობა“. აქვე, ცხინვალსა და, საერთოდ, დიდი ლიახვის ხეობაში მიმდინარეობს მ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და სკანდალური რომანის „ჯაყოს ხიზნების“ ძირითადი მოქმედება.**

იხ. 9 გვ.

# საქართველოს მალე ექნება ეროვნული უსაფრთხოების სრულყოფილი კონცეფცია!



**უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და რეგიონში მიმდინარე პროცესები განიხილეს.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **გიორგი გახარიას** ხელმძღვანელობით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია, საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსს **ლევან იზორიას** დაეკისრა.

**„ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი ფუნქცია, განსაკუთრებით კოორდინაციის ნაწილში. დღეს ამ ქვეყნის უსაფრთხოება არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი. სხვანაირად ვერ განვავითარებთ ვერც ეკონომიკას, ვერც ტურიზმს, ვერც განათლებას, ვერც კულტურას და საერთოდ, ქვეყნის ხვალინდელ დღეზე მსჯელობა იქნება საკმაოდ პირობითი. ამიტომ, უსაფრთხოების მიმართულებით კოორდინირებული მუშაობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

სხდომაზე უსაფრთხოების ჭრილში ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები და რეგიონში მიმდინარე პროცესები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფრასტრუქტურის საკითხს და ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველოს უსაფრთხოების ნომერ პირველი გამოწვევა ოკუპაციაა და ის განსაკუთრებით მტკივნეულია საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოქალაქეებისთვის.

პრემიერმა უსაფრთხოების თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად დაასახელა კიბერუსაფრთხოება.

**„კიბერუსაფრთხოება, უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ჩვენს რეგიონში და განსაკუთრებით იმ გამოწვევების ფონზე, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ ჩვენმა ქვეყანამ იგრძნო, როდესაც კიბერუსაფრთხოების ნაწილში სერიოზული გამოწვევა ჰქონდა ჩვენს სახელმწიფო უწყებებსაც და კერძო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელსაც“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, საბჭოს წევრებმა, სხდომაზე, უსაფრთხოების სფეროში ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების აუცილებლობაზე იმსჯელეს. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, საუბარი შეეხო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს.

პრემიერ-მინისტრმა ლევან იზორიას ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სრულყოფილი კონცეფციის შექმნა დაავალა, რომელიც ქვეყნის საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით მომუშავე სახელმწიფო უწყებებისთვის გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა იქნება. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს მუდმივი წევრები: საქართველოს თავდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, დაზვერვის სამსახურის უფროსი და თავდაცვის ძალების მეთაური.



# ირაკლი კობახიძე ლევან გოგიჩაიშვილს: შენც გიგლა ბერბიჭაშვილი ხარ... შე ნაძირალა, არ შეგრჩება ეგ სიტყვები!

**პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გუშინ დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან გოგიჩაიშვილმა ირაკლი კობახიძეს ბერბიჭაშვილი უწოდა.**

სხდომაზე ლევან გოგიჩაიშვილი ირაკლი კობახიძის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ოპოზიციის წევრებს ბერბიჭაშვილები უწოდა.

**„ჩინჩალაძე და მიქაუტაძე ვინ არიან? შენ ხარ ბერბიჭაშვილი“,** — მიმართა კობახიძეს გოგიჩაიშვილმა. საპასუხოდ ირაკლი კობახიძემ ლევან გოგიჩაიშვილს მიმართა: **„შე ნაძირალა, გაჩუმდი. ლევან, შენც გიგლა ბერბიჭაშვილი ხარ. მაგიტომ ხარ „ნაცებთან“ ტანდემში, გიგლა ბერბიჭაშვილი რომ ხარ. ლევან, არ შეგრჩება ეგ სიტყვები, განანებ მაგრად“...**

# „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ მალე დაგამთავრებთ!

**საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ირაკლი ობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ „ნაციონალების“ გაქრობა არის მათი პოლიტიკური ამოცანა.**

მისი თქმით, „ნაცმოძრაობა“ არის ზოგადად, საფრთხე ქართული დემოკრატიისთვის.

**„ამაზე შეთანხმდა მილიონ ასორმოცდაათი ათასი ადამიანი ერთხმად, რომელმაც გამოაცხადა ბოროტებად „ნაცმოძრაობა“. ეს არის ჩვენი ეროვნული ამოცანა, რომელიც არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან. „ნაცმოძრაობა“ ბუნებრივია, უნდა გაქრეს და გაქრება კიდეც, ოღონდ გაქრება პროპორციულ სისტემის პირობებში. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ ვერც ერთმა ამ ფლანგმა, ვერც „ნაცებმა“, „შმაცებმა“ და „შმაცუნებმა“ ორნიშნა მაჩვენებელი ვერ დადონ შემდეგ არჩევნებში და ეს არის აბსოლუტურად რეალური. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მათი რეალური სახე საზოგადოების იმ ნაწილს, უმცირესობას, რომელმაც ჯერ კიდევ მხარი დაუჭირა ამ ძალას. ძალიან მარტივია მათი სახის ჩვენება, მათი აბსოლუტურად ბოროტი სახის ჩვენება, განსაკუთრებით იმ ფონზე, რასაც აკეთებდნენ. ახლა დიტო მხეიძე საუბრობდა, კითხვას სვამდა და ბატონი კაკოს რეპლიკა იყო „დიმიტრი სტიქაროსანიო“. ეს არის მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და არიქა, ცხვარი გარბისო.**

**ეს არის ამ ხალხის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ, კაკო ბობოხიძეც არის ჩვეულებრივი ბერბიჭაშვილი, ნებისმიერ დროს ესვრის ის ილიას. შენ ხარ ბერბიჭაშვილი, ნებისმიერ დროს ესვრი შენ ილიას, ამას აკეთებთ თქვენ ყოველდღიურ რეჟიმში თქვენი პარტიული ტელევიზიების მეშვეობით, თქვენი საიტების მეშვეობით და თქვენი ნაცაქტივის მეშვეობით... თქვენ რომ არ ყოფილიყავით ბერბიჭაშვილები, საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტს არ ჩააბარებდით რუსეთს და არ გაუფორმებდით მერე იმ რეზოლუციით, რომელსაც მხარი დაუჭირეთ“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ წარსულს ჩაბარდება. მან ასევე მიმართა „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელ სერგო რატიანს.

**„ჩაგაბარებთ წარსულს, ეკლესიის მტრებს და სახელმწიფოს მტრებს ჩავაბარებთ წარსულს. თქვენ ხართ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც სამი თვის წინ იჭრებოდით პარლამენტში, ხელისუფლების გადატრიალებას აწყობდით**

**რას გიზამთ იცი, სერგო? — დაგამთავრებთ. ნუ იკრიჭები, ახლა უნდა ვაჩვენოთ ჩვენ „ნაციონალური მოძრაობის“ სახე. ეს არის ლუსტრაცია, თქვენ აჩვენებთ თქვენს სახეს, ეს არის „ნაცმოძრაობის სახე“, ეს არის გიგლა ბერბიჭაშილის სახე, გიგლა ბერბიჭაშვილი მარტო ის კი არ იყო, ვინც მარტო ესროლა ილიას, დადიოდა წლების განმავლობაში და ამაყობდა, რომ მან ილიას ესროლა, თქვენ ხართ ბერბიჭაშვილები...**

# ეკა ბესელია: პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომელიც იყო საჯარო დაპირება, უნდა შესრულდეს!

**პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომელიც იყო საჯარო დაპირება, უნდა შესრულდეს,** — განაცხადა პარტია „სამართლიანობისთვის“ ლიდერმა ეკა ბესელიამ, რომელიც პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიების შეკრებაზე იყო მისული.



**— იმდენად მნიშვნელოვანია პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და იმდენად დიდი საფრთხეა, ხელისუფლებამ ეს დაპირება არ შეასრულოს, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების პარტიები და ლიდერები ამ პოზიციის ირგვლივ ერთიანდებიან. ვთანხმდებით იმაზე, რომ პირადი შეხედულებების მიუხედავად, ყველა არის ერთ პოზიციაზე, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა, რომელიც იყო საჯარო დაპირება, უნდა შესრულდეს.**

**იქნება კონსოლიდირება მთელი პოლიტიკური სპექტრის და სამოქალაქო სექტორის, „ყველა ერთის წინააღმდეგ ფორმულით“. თუ ამ ფორმულით უნდა წარმართოს პროცესები ხელისუფლებამ, ეს არის ძალიან სახიფათო სვლა და სახიფათო პროცესი. უნდა გააცნობიერონ, რომ ეს არ შეიძლება. მნიშვნელოვანია, დაფიქსირდეს, ყველა დგას ამ პოზიციაზე, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე ქვეყანა უნდა გადავიდეს. აქ ყოყმანი, თამაში, ორჭოფობა, საზოგადოების გამოცდა არ შეიძლება!**

# მიხეილ ჩხენკელი ისევ მინისტრია

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრად მიხეილ ჩხენკელი დაინიშნა,** — შესაბამის ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ხელი გუშინ მოაწერა. მიხეილ ჩხენკელი დღემდე იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში, 2017-2018 წლებში კი — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მანამდე — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი. მიხეილ ჩხენკელს აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და არის აშშ-ის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის წევრი.



გვიტევენ!..

# ცეკვით შენიღბული დივერსია გრძელდება!

**ამ დღეებში კიდევ ერთხელ აირია მონასტერი – როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.**

თითქოს დედაეკლესიასა და მის ბრძენ, მხცოვან საქეთმპყრობელს შინაური ყვავყორნები აკლდნენ, ბომბი საზღვარგარეთიდანაც შემოუგდეს და საკონტროლო გასროლითაც დაემუქრნენ.

ალბათ, მიხვდით, საუბარია ვიღაც ქართველ-თურქ ლევან აკინის გეი-ფილმის პრემიერაზე, რომელმაც საპროტესტო აქციებისა და გასამხედროებულთან მიახლოებული სპეცდანიშნულების რაზმების თანხლებით ჩაიარა.

ზოგ-ზოგიერთნი კი ამბობენ, ჭეშმარიტ ხელოვნებას ეროვნება არა აქვს და მთელ კაცობრიობას ეკუთვნისო, მაგრამ, ჯერ ერთი,





ამ ფონზე გმირობის ტოლფასად უნდა მივიჩნიოთ **ნინო სუხიშვილის** საქციელი, რომელმაც „სუხიშვილების“ ლეგენდარული სტუდიიდან უარით გაისტუმრა ქართულ-შვედურ პროექტად გასაღებული ძნილების შემოქმედებითი ჯგუფი – ასეთი სიუჟეტის ნაწარმოებში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს შეგირდებს ვერ დაგითმობთო.

შეადარეთ მისი მამულიშვილური პოზიცია პუტჩისტური „წითელი ინტელიგენციის“ თვალსაჩინო წარმომადგენელთა, მეტადრე – ქეთი დოლიძისა და ლანა ღოღობერიძის „სვეცკურ“ ნააზრევს და მიხვდებით, რომ, თურმე, ბოლომდე ჯერ არ დავღუპულვართ. კიდევ კარგი!

და აუცილებლად – ფილმის სათაური: „და ჩვენ ვიცეკვეთ“... მართლაც, იცეკვებდნენ, აბა რა, ასეთი მზაკვრული დაკვეთის შესრულება ხომ უზარმაზარ სარგებელს უკავშირდება. თანაც ისეთს, საკითხავიც რომ არაა, ვის დაკრულზე იცეკვეს.

პროფესიონალებმა დადონ კომპეტენტური დასკვნა აღნიშნული სიახლის მხატვრულ ღირებულებებზე და, მეორეც, პირადად ჩემთვის და, დარწმუნებული ვარ, ბევრი თანამემამულისთვის, რეჟისორის წარმომავლობას დიახაც რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება... და აი, რატომ:

ბობოქარი ისტორიის განმავლობაში საქართველოს ოსმალეთზე დიდი მტერი არ ჰყოლია, აკინი კი, თურმე, ტომით ნაწილობრივ სწორედ თურქია, თანაც, როგორც თავად ბრძანებს, გეი!

აგრეთვე გასათვალისწინებელია მისი ამჟამინდელი ნავსაყუდელი – შვედეთი, რომელიც ცხოვრების დონით, მართალია, ერთ-ერთი მოწინავეა ცივილიზებულ სამყაროში, მაგრამ იქაურთა ზნე-ჩვეულებანი, შვედური მოდელისა არ იყოს, რბილად რომ ვთქვათ, მართლმადიდებელ ქრისტიანებში მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს.

არანაკლებ გასათვალისწინებელია გადასაღებ მოედანზე ქართველ ბავშვთა შეტყუების ამაზრზენი ფაქტი, რამაც, სავსებით შესაძლებელია, მათ მომავალი დაუნგრიოს.

თუმცა, ეს რა გასაკვირია, აკინის წინაპრები არ იყვნენ ყულევიდან და ანაკლიიდან ფანჯარა რომ ჰქონდათ გაჭრილი ბოსფორისკენ და ჩვენს მოზარდებს სამშობლოდან შორს გადასახვეწად იმეტებდნენ?!

სხვათა შორის, არანაკლებ სკანდალურად ჟღერს ამერიკაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტის რუსუდან წერეთლის გავრცელებული ინფორმაცია საავტორო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

როგორც ირკვევა, სათაურით – „და ჩვენ ვიცეკვეთ“, თურმე, უკვე გამოცემულია ჰენრი ალფორდის გასართობი ჟანრის წიგნი, რომელიც არც დრამაა და არც ჰომოსექსუალური წყვილის სიყვარულის პროპაგანდა.

**„ავტორი მოგვითხრობს მსოფლიო საცეკვაო ხელოვნების ვარსკვლავებზე, მათ შორის, ანოტაციაში – ჯორჯ ბალანჩინზე, სავარაუდოდ, გიორგი ბალანჩივაძეზე“,** – აცხადებს ჩვენი კოლეგა და დასძენს, რომ არც ფილმის რეჟისორსა და არც პროდიუსერს აქამდე არსად უხსენებიათ, კინოსურათის სცენარის ან სახელწოდებისთვის ვინმეს ნაღვაწი თუ გამოიყენეს, რაც, დაგვეთანხმებით, ათას სხვა სიკეთესთან ერთად, პლაგიატობის ანუ სხვისი ნაშრომის მიტაცება-მითვისების ნიშნებს შეიცავს.

მოკლედ, თუ მოვლენები ობიექტურად განვითარდა, არა გვგონია, აკინსა და მის კამპანიას საქმე საცეკვაოდ გაუხდეთ.

**გია პლატონიშვილი**




# 45 ოჯახს საცხოვრებელი ბინები სიმბოლურ ფასად გადაეცა!

**თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად კიდევ 45 ოჯახს გადაეცემა, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.**

კერძოდ, საცხოვრებელი ფართები თამარაშვილის №38-ში მცხოვრებ შვიდ ოჯახს, ჭიჭინაძის №12-ში მცხოვრებ სამ ოჯახს, მუხაძის ქუჩის მიმდებარედ მცხოვრებ 13 ოჯახს, გახოკიძის №8-ში მცხოვრებ ოთხ ოჯახს, გლდანის პირველ მიკრორაიონში, 3 ბ-ში მცხოვრებ 17 ოჯახს, მესამე მასივის ზემო პლატოზე, №42 კორპუსში მცხოვრებ ერთ ოჯახს დაუკანონდება.

**„ძალიან კარგად ვიცი, თუ რამხელა სიხარული და ბედნიერებაა ეს. ჩვენ ვხვდებით ამ ადამაინებს და სიმბოლურ ფასად გადავცემთ საცხოვრებელ ფართებს, რასაც ისინი წლების განმავლობაში ელოდებოდნენ, ითხოვდნენ და გარკვეული პრობლემების გამო, მათ დაკანონებას ვერ ახერხებდნენ. მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

# კახეთის გზატკეცილზე საგზაო სამუშაოები სრულდება

**კახეთის გზატკეცილზე მიმდინარე საგზაო სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს დასრულდება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

სამუშაოების დასრულების შემდეგ საგზაო მოძრაობაც აღდგება, გზატკეცილის კეთილმოწყობის სამუშაოები კი პარალელურ რეჟიმში გაგრძელდება.

როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, ამჟამად, საგზაო სამუშაოების პარალელურად, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (ჯცზ) მიერ ახლადგამოვლენილი დაზიანებული ქსელის ჩანაცვლების სამუშაოებიც მიმდინარეობს.

# ივერთუბანში 600 ოჯახისთვის წყალარინების ქსელი მოეწყობა

**ივერთუბნის დასახლებაში თბილისის მერია კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ (GWP) ერთად, წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოებს განახორციელებს.**

მისივე თქმით, პროექტის განხორციელების შედეგად, ივერთუბანში მცხოვრებ 600 ოჯახს წყალარინების მოწესრიგებული ქსელი ექნება.

**„ივერთუბნის დასახლებაში წყალარინების ქსელი საერთოდ არ არსებობს. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჯცზ-სთან ერთად, შესაბამისი პროექტი განვახორციელოთ. შედეგად, იქ მცხოვრებ 600 ოჯახს მოწესრიგებული საკანალიზაციო ქსელი ექნება. რაც კი საჭიროა, ეს უბანი ყველანაირად მოწესრიგდება – რეაბილიტირებული ქუჩებით, კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით და ა.შ. ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ ეს სამუშაოები ჯცზ-სთან ერთად ჩავატაროთ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

პროექტის ღირებულება რამდენიმე მილიონი ლარი იქნება.

# 100 ახალი ავტობუსი დედაქალაქს

**კახა კალაძის თქმით, ეს ავტობუსები იმ 650 ერთეულ ავტობუსს დაემატება, რომელთა ჩანაცვლების პროცესიც უკვე დაწყებულია.**

„ჯერ კიდევ დავით ნარმანიას მერობის დროს, მუნიციპალიტეტმა 145 ერთეული 12-მეტრიანი ავტობუსი შეისყიდა. ამის შემდეგ ჩვენ შევიძინეთ 310 ერთეული სხვადასხვა ზომის 8-მეტრიანი და 10-მეტრიანი ავტობუსები, რომელთა შემოყვანა უკვე დაწყებულია და წლის ბოლოსთვის მთლიანად მოგვაწვდიან“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, დამატებით 100 ავტობუსის შესყიდვის მიზანია, თითოეულ ხაზზე მოძრავი ავტობუსების რაოდენობა გაიზარდოს და მოცდის ინტერვალი შემცირდეს.

**„ჩვენ გვაქვს რაიონები, უბნები, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ მოძრაობს, ან თუ მოძრაობს ძალიან დიდი მოცდის დრო აქვს. ეს სერიოზული პრობლემაა. შესაბამისად, ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ჩვენს სატრანსპორტო პოლიტიკაში იქნება ის, რომ შევამციროთ მოცდის დრო და სადაც საერთოდ არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ავტობუსებმა იმოძრაოს, რომლებიც იქ მცხოვრებ მოქალაქეებს მოემსახურება“,** – აღნიშნა კახა კალაძემ. თბილისის მერის განცხადებით, დამატებითი ავტობუსების შეძენა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების ხარისხს გააუმჯობესებს.

# მადლობა მერისგან

**დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მოსახლეობას მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ ორი წლის განმავლობაში, მათგან მხარდაჭერას გრძნობს.**

კახა კალაძის თქმით, ის თავისი უფლებამოსილების შესრულებას ზუსტად ორი წლის წინ, 13 ნოემბერს შეუდგა.

**„ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობამ მოგვცა შესაძლებლობა, ვუხელმძღვანელოთ ქალაქს. ზუსტად 13 ნოემბერი იყო, როდესაც მერიაში ოფიციალურად შევედით და ჩვენს საქმიანობას შევუდექით. მე, პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო საზოგადოებას, ყველა თბილისელს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის, რასაც პირადად მე, ჩემი თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში ვგრძნობთ. რა თქმა უნდა, ეს დამატებით გვაძლევს სტიმულს, რომ ჩვენს ქალაქს ვემსახუროთ“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დედაქალაქის მთავრობა მიმართულია იმისკენ, რომ ხვალინდელი თბილისი ყველანაირად მოწესრიგებული იყოს.



## დიმიტრი ხუნდაძე:

# საკუთარ ხალხს ნაციონალური ჯოჯოხეთი ავაცილოთ!

**მავნე ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას, ტირანიისკენ მიათრევდა ქვეყანას, ხოლო ოპოზიციად ქცეული, სულ ახლახან, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა, დღეს ჩვენ გვდებს ბრალს**

(პირველი გვერდიდან)

ეს არის შავ-თეთრი რეალობა და დღევანდელობის პარადოქსი სწორედ ის არის, რომ ის მავნე ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას, ტირანიისკენ მიათრევდა ქვეყანას, ხოლო ოპოზიციად ქცეული, სულ ახლახან, სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა, დღეს ჩვენ გვდებს ბრალს ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანის გამრუდებაში, ავტორიტარიზმის დამყარების მცდელობასა და პრორუსულ ორიენტაციაში.

და ეს იცით, რატომ ხდება? ამ გადასახედიდან, შეგვიძლია, ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ:

**ეს იმიტომ ხდება, რომ 2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის მოლოდინების, კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნების საპირისპიროდ, მიიღო, ჩვენი შეფასებით, უკიდურესად მცდარი გადაწყვეტილება, პოლიტიკური თანაარსებობა გაეგრძელებინა საქართველოს ისტორიაში ყველაზე ანტიეროვნულ, საშიშ და მავნებელ ძალასთან — „ნაციონალურ მოძრაობასთან“. მიგვაჩნია, რომ ეს იყო მძიმე შეცდომა, რამაც საგრძნობლად შეასუსტა და დაამუხრუჭა ქვეყნის სტაბილური დემოკრატიული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესი, რადგან უკანასკნელი წლების განმავლობაში ხელისუფლების რესურსი, ძალა და ენერგია დიდწილად იხარჯებოდა არა სახელმწიფოს გაძლიერებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მუდმივად ორგანიზებული ხელოვნური პოლიტიკური კრიზისების, დესტრუქციული და დანაშაულებრივი ქმედებების განეიტრალებაზე. ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ ვიხილეთ მათ მიერ ჩაფიქრებული სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების უმწვავესი ფაზა, პარლამენტში ძალადობრივად შეჭრისა და ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით ხელში ჩაგდების მცდელობა და სხვა მრავალი ქმედება, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს.**

გაიხსენეთ, როგორ მიუდგნენ ისინი კონსტიტუციურ პროცესს, რომლის ფარგლებშიც „ქართულმა ოცნებამ“ მათი ბელადის უსასრულო ბატონობაზე მორგებული, სრულიად მახინჯი კონსტიტუციის მაგივრად, ჭეშმარიტად ევროპული კონსტიტუცია შეიმუშავა, კონსტიტუცია, რომელსაც უმაღლესი შეფასება მისცა საერთაშორისო თანამეგობრობამ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ღია თუ ფარული სატელიტების მეშვეობით, ამ პროცესის დისკრედიტაციის მიზნით მისი სრული საბოტირება მოახდინა.

გაიხსენეთ, თუნდაც სულ ახლახან, როგორ უპასუხეს ამ ექსტრემისტებმა მათ მიერ დაგეგმილი, თუმცა ვერგანხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლების კეთილ ნებას, პარლამენტში პოლიტიკური პლურალიზმის და მრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით წამოეწყო უპრეცედენტო საარჩევნო რეფორმა და ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში ჩაგვეტარებინა პროპორციული არჩევნები — არც მისალმებიან ჩვენს ინიციატივას, პირიქით — სისუსტედ და მარცხად ჩაგვითვალეს ეს ნაბიჯი და შემდგომ, რამდენიმე თვე ქუჩიდან არ გავიდნენ, რომ იქნებ დესტაბილიზაციის კერა და მუხტი შეენარჩუნებინათ.

შეუძლებელია, განსაკუთრებული ემოციის გარეშე შევაფასო ამ ბოლო დროს განხორციელებული უსინდისო, ფუნდამენტურად არაქართული შეტევა საქართველოს ეკლესიასა და მის უწმინდესსა და უნეტარეს პატრიარქზე, რომლის მიმართაც თითოეულ ჩვენგანს, მიუხედავად ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილებისა, აქვს გამორჩეული მოკრძალება და პატივისცემა. ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლისათვის სრულიად თვალსაჩინოა, რომ პატრიარქის დისკრედიტაციის გზით ეკლესიის გახლეჩის მზაკვრული გეგმის ავტორები და ორგანიზატორები სწორედ ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან. ამ მართლაც ბოროტების მსახურებს სხვა რომ არაფერი დაეშავებინათ ცხოვრებაში, ისიც საკმარისი იქნებოდა, რაც იკადრეს და გაბედეს საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ დავიწყეთ ჩვენი მიმართვა ბიძინა ივანიშვილის მართლაც ისტორიული სიტყვებით, რათა მთელი სიმძაფრით გვეჩვენებინა, რომ ის ღირსეული და ცივილიზებული, ჩვენი ევროპული არჩევანის შესატყვისი მიდგომა, რაც გამართლებული და მისასალმებელი იქნებოდა ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ძალასთან დაკავშირებით, სრულიად კონტრპროდუქტიული და მეტიც, ქვეყნისათვის საზიანო აღმოჩნდა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიმართებაში, რადგან თავისი ბუნებით **ეს არც არის პოლიტიკური ძალა. ეს არის ავთვისებიანი სიმსივნე ქართულ სახელმწიფო სხეულზე, რომლის ამოძირკვის მანდატით ხელისუფლებაში მოსულებმა, ახლა გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, რომ ხელოვნურად გავამრავლოთ ეს მავნე უჯრედები.**

დიახ, ელემენტარული არითმეტიკული გათვლები ადასტურებს, რომ 2020 წელს პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებით იხეირებს მხოლოდ ერთი ძალა — ერთ დროს ერთიანი და ახლა მარტივ მამრავლებად ხელოვნურად დაშლილი თუ განშლილი „ნაციონალური მოძრაობა“.

**ნათქვამია, რომ „კეთილი სურვილებით არის მოკირწყლული ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა“ და ჩვენც თითქოს განზრახ ვიქცევით ასე — პარლამენტში პოლიტიკური მრავალფეროვნების უზრუნველყოფის კეთილშობილური იდეის მიამიტური ხერხით განხორციელების შედეგად, თავად ვაპირებთ, ჯოჯოხეთი მოვუწყოთ საკუთარ ხალხს, რადგან მილიონზე მეტი ჩვენი მხარდამჭერისთვის, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლობის ახლანდელი რაოდენობით შენარჩუნება პარლამენტში — პოლიტიკური ჯოჯოხეთია და სხვა არაფერი.**

მიგვაჩნია, რომ საქართველოს განვითარების ამ ისტორიულ ეტაპზე, სულ მცირე, არ გვაქვს უფლება, კიდევ ერთხელ დავუშვათ საბედისწერო შეცდომა და ძირითადად, იმ მიზეზით, რომ ერთმანეთს ვეკეკლუცოთ, თუ როგორი პროგრესულები ვართ ან, თუნდაც ენჯეო-სექტორის მოწონება და შექება დავიმსახუროთ, ჩვენივე ხელით გავანადგუროთ ის მთავარი მონაპოვარი, კერძოდ კი — თავისუფლება და უფლება ვიცხოვროთ შიშის გარეშე — რაც ყველამ ერთად მოვიპოვეთ 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ კაცთმოძულე რეჟიმთან მრავალწლიანი ბრძოლის შედეგად. შეგახსენებთ, რომ დღეს მათ ნამსხვრევებს შორის დისკუსია სწორედ იმ საკითხზე მიმდინარეობს, გამარჯვების შემდეგ რა სიმძაფრით გაარძელონ ქართველი ხალხის მოგუდვა და ჩაგვრა.

ამრიგად, ნებისმიერი პოლიტიკური აქტი, რომელიც ხელს შეუწყობს და კიდევ უფრო გააძლიერებს ამ დანაშაულებრივი ძალის პოლიტიკურ მდგომარეობას, ჩვენ მიერ პრინციპულად და კატეგორიულად არ იქნება მხარდაჭერილი.

ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას ისეთი საარჩევნო მოდელის შექმნაში, რომელიც ადამიანების წამებაზე, დამცირებაზე, დაშინებაზე, რეპრესიებზე, საკუთრების წართმევაზე დაფუძნებული ძალადობრივი რეჟიმის პოლიტიკურ რეაბილიტაციას, პარლამენტში დაუმსახურებლად და ხელოვნურად მათი წარმომადგენლობის დღევანდელი რაოდენობით შენარჩუნებას და მათთვის რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო უპირატესობის მინიჭებას შეუწყობს ხელს.

ჩვენ არ გავაფორმებთ გადარჩენის კონკორდატს საქართველოს ისტორიაში ყველაზე სახიფათო საშინაო მტერთან!

რაც შეეხება ჩვენ მიერ ინიცირებული საარჩევნო რეფორმის მთავარ პოსტულატს — ნულოვანი ბარიერის პირობებში უზრუნველგვეყო პატარა და შედარებით სუსტი პოლიტიკური სუბიექტების მაქსიმალური წარმომადგენლობა პარლამენტში.



პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა ვალდებულია, შეასრულოს პირობა და ჩვენ გთავაზობთ უკეთეს, უფრო ეფექტიან და ქვეყნისთვის უსაფრთხო გზას ამ პირობის შესასრულებლად, ვიდრე პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე დაუყოვნებელი გადასვლაა.

**ჩვენი იდეა ეფუძნება რამდენიმე წინაპირობას:**

**1. ობიექტურად სუსტი ორგანიზაციული რესურსის პირობებში არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ პატარა პარტიები დამოუკიდებლად შეძლებენ პარლამენტში მოსახვედრად საკმარისი 12-13 ათასი ხმის აღებას;**

**2. ნებისმიერი სანდო კვლევა ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ არცერთი ფრაქციის წარმომადგენელს (ვგულისხმობ ე.წ. „ძალა ერთობაშია“ და ე.წ. „ევროპულ საქართველოს“) არანაირი შანსი არა აქვს პირველ ტურში მოიგოს რომელიმე მაჟორიტარული ოლქი;**

შესაბამისად, ვთავაზობთ უმრავლესობის დანარჩენ წევრებს, რომ შევინარჩუნოთ შერეული საარჩევნო სისტემა და არ დავაყენოთ საკუთარი კანდიდატი არც ერთ იმ მაჟორიტარულ ოლქში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ ამ ორი ფრთის გარდა, დანარჩენი ოპოზიციის ნებისმიერ კონკურენტუნარიან წარმომადგენელს ან დამოუკიდებელ კანდიდატს ექნება გამარჯვების მოპოვების რეალური შესაძლებლობა და ამ ნაბიჯით გავფანტოთ ყოველგვარი ეჭვი, რომ ჩვენ ჭარბი, საკმარისზე მეტი ძალაუფლების ანდა კვლავაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას ვისახავთ მიზნად. შედეგად, საზოგადოებისათვის მიცემული დაპირების შესაბამისად, გზა გავუხსნათ პოლიტიკურ ჯგუფებს და აქტიურ ადამიანებს, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ხელისუფლების განხორციელების პროცესში, მათ შორის, კოალიციურ მმართველობაში, თუ ასეთი რეალობა დადგა.

იხ. 8 გვ.

# მეგაპროექტები „მეგობრებით“ გარშემორტყმულ საქართველოში

**სანამ იმ მეგაპროექტებზე ვიტყოდე რამეს, რომლებიც საქართველოში ხორციელდება, თავად მეგაპროექტი უნდა განვმარტო მოკლედ. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა ყველასთვის გასაგებია – ეს არის დიდი, ძალიან დიდი პროექტი, მაგრამ მაინც რომელი მათგანი მიიჩნევა დღეს მეგაპროექტად? ის, რომლის საპროექტო(!) ღირებულება ერთ მილიარდ დოლარს აჭარბებს.**

„ხმალზე უფრო ძლიერად სჭრის,
პატარა და რბილი ენა“.
აკაკი

**მეგაპროექტების მიზანია** (უნდა იყოს!) ეკონომიკის განვითარება და სახელმწიფოს წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაცია. საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე ყველა მეგაპროექტი, განსხვავებით სხვა პროექტებისგან, აუცილებლად უნდა იყოს გასაჯაროებული და ფართოდ განხილული (სამხედრო საიდუმლოების შემცველის გარდა). რაც შეეხება **მეგაპროექტებისთვის დამახასიათებელ(!) პრობლემებს,** ისინი რამდენიმეა: როგორც წესი, საპროექტო მოთხოვნილება ფაქტობრივს 50-70 %-ით აჭარბებს, ხარჯები, პირიქით – რეალური ღირებულება 50 და 100 %-ითაც კი მეტი გამოდის საპროექტოზე; სათანადოდ არ ფასდება მეგაპროექტების მავნე, ხშირად, დამღუპველი ზეგავლენა გარემოზე; ოპტიმისტური პროგნოზები კი მათი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ არ მართლდება!

საქართველოში დაგეგმილი, ალბათ, ბევრად ზუსტი იქნება თუ ვიტყვი – განსახორციელებელი(!), მეგაპროექტებია: **გიგანტური ჰესები** (ხუდონჰესი, ნენსკრას და ნამახვანის კასკადები), **ანაკლიის პორტი** და **ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი**.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

## 1. გიგანტური ჰესები

ნიმუშად ავილოთ 700-მეგავატიანი **ხუდონჰესი** ენგურზე. **საინვესტიციო ღირებულება**: 1.2 მილიარდი აშშ დოლარი, **დამფინანსებელი:** ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ინდური კომპანია – „ტრანს ელექტრიკ ლიმიტედ“); **წარმოებული პროდუქცია:** 1.5 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია; **მიზანშეწონილობა:** მზარდი მოთხოვნილება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ინვესტორთან წინა, სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს დაიდო და ბევრ კითხვებსაც ბადებდა, 2013 წლის ოქტომბერში, ანუ ივანიშვილის „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის თავზე ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე **ილია ელოშვილი** მაინც გვარწმუნებდა: **„ეს წაუგებელი პროექტი იქნება“!** არადა, ხელშეკრულებით, გამომუშავებული ენერგიის **მხოლოდ 9% რჩებოდა საქართველოში,** 91% კი კომპანიის მიერ ექსპორტზე გადიოდა თურქეთში 15-20 წლის განმავლობაში, სანამ კომპანია დანახარჯს არ ამოიღებდა და მოგებას არ ნახავდა. ის 9%-იც ელექტროენერგიისა, ანუ 133.9 მილიონი კილოვატ/საათი უფასოდ კი არ გვრჩებოდა, როგორც, მაგალითად, რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანზიტისთვის – გაზსადენში გატარებულის 10%, არა, ჩვენ, უბრალოდ, უფლება(!) გვეძლეოდა მხოლოდ ზამთრის პერიოდში, ოთხი თვის განმავლობაში და 10 წლის მანძილზე ელექტროენერგია 10%-ით (მხოლოდ ათი პროცენტით!) ნაკლებ ფასში შეგვესყიდა, ვიდრე რუსეთისგან. და ამით, ანუ ჩვენი „ყოჩაღი“ და „პროფესიონალი“ სახელმწიფო მოღვაწეების მიერ „მომგებიანად“ დადებული კონტრაქტის შედეგად, თურმე, 5 მილიონ 570 ათას დოლარს დავზოგავდით წელიწადში! თავდაპირველად მეც ვირწმუნე ამ მიზერული მოგების სისწორე (5.5 მილიონი დიდი არაფერია სახელმწიფოსთვის), მაგრამ მალევე გავარკვიე, რომ ესეც არასწორად, თანაც, 6-ჯერადი(!) მეტობით ყოფილა ნაანგარიშევი. საქმე იმაშია, რომ ერთ კვტ/სთ ენერგიას რუსეთისგან 6.5 აშშ ცენტად ვყიდულობდით, კომპანიისგან კი 5.84 ცენტად უნდა შეგვეძინა. რა გამოდის? რუსეთისგან შესყიდული 133.9 მლნ კვტ/სთ გვიჯდებოდა 8 მილიონ 703 ათასი (133.9X6.5=8 703 500), ხოლო კომპანიისგან – 7 მილიონ 820 ათასი (133.9X5.84=7 819 760). სხვაობა, ანუ დანაზოგი გამოდის 883 740 დოლარი და არა – 5.5 მილიონი! იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ 133.9 მლნ კვტ.სთ-ის (რაც საქართველოს წლიური მოხმარების მხოლოდ 1% შეადგენს!) ზემოთ შესყიდვა თუ დაგვჭირდებოდა, უკვე მსოფლიო ბაზარზე დადგენილი ფასი უნდა გადაგვეხადა. **ესეც შენი მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ენერგეტიკული დამოუკიდებლობა!**




ე.ი. რა გამოდის? მთელი შემოსავლის 100% ინვესტორს მიაქვს, უბრალოდ, 91 %-ს საერთაშორისო ფასებში ყიდის მაქსიმალური მოგებით თურქეთში, 9%-ში კი ცოტა ნაკლებს იგებს საქართველოში! და ამას ჰქვია სამართლიანი განაწილება? ტერიტორია ჩვენი, წყალი ჩვენი, გარემო კლიმატშეცვლილი და დამეწყრილი, სავარგულები, წინაპრების საფლავები, ისტორიული ძეგლები, ეკლესიები... წყალქვეშ მოქცეული და ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი?! **იმ ზარალის ფონზე, რაც აღნიშნული პროექტის განხორციელებით მიადგება რეგიონს და მოსახლეობას, პროექტის სარგებელი ნამდვილად მიზერულია!** თავად ინვესტორის სამშობლოში – ინდოეთში გამომუშავებული ენერგიის ერთი მესამედი(!) უფასოდ ეძლევა იმ მუნიციპალიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც ჰესი შენდება! უნდა ვახსენო ლიბიაც, სადაც **კადაფის** მოსვლამდე დასავლეთის კომპანიებს მოპოვებული ნავთობის 52% რჩებოდათ, კადაფიმ კი მათ ულტიმატუმი წაუყენა: მინიმუმ, 80% უნდა დარჩეს ლიბიას და თუ ეს პირობა არ გაწყობთ, შეგიძლიათ, წაბრძანდეთო! (შესადარებლად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის კომპანიები იქ მხოლოდ 10.5 %-ზე მუშაობდნენ, 5-ჯერ(!) ნაკლებზე, ვიდრე ლიბიის ეკონომიკის „დამხმარე“ „დემოკრატიული“ დასავლეთის კომპანიები!).




**ერთი სიტყვით, აუცილებელია ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის (ზოგადად, შემოსავლების) განაწილების გადასინჯვა. გაყოფაა მთავარი არითმეტიკული მოქმედება ნებისმიერ გარიგება-კონტრაქტში და არა რაღაც განყენებული დიდი რიცხვებით მანიპულირება – თვალებში ნაცრის შეყრა! ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ ზუსტად: გვიღირს კი ჩვენი პატარა, მაგრამ კოხტა, მთიან ზონაში ლამის ყველგან საკურორტო ადგილების საფრთხის შემცველი უდიდესი კაშხლებით და წყალსაცავებით გადავსება?! იქნებ, ბუნების ბევრად ნაკლებად დამაზიანებელი მცირე ჰესებია გამოსავალი? ბევრი სპეციალისტი ხომ გიგანტური ჰესების კატეგორიული წინააღმდეგია, განსაკუთრებით, ჩვენისთანა პატარა და მცირემიწიან სახელმწიფოში!**

2017 წლის მაისში ენერგეტიკის მაშინდელი მინისტრისგან – **კახი კალაძისგან** ვიგებთ, რომ საქართველოს მთავრობა აპირებს „ჩახსნას“ ინვესტორი, ანუ გააუქმოს ხელშეკრულება და პროექტს თავად ჩაუდგეს სათავეში! გაუქმების ერთ-ერთ მიზეზად მინისტრმა ხელშეკრულების ის მუხლი დაასახელა, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, ხუდონჰესის მიერ გამომუშავებული ელქტროენერგია 15 წლის განმავლობაში მთლიანად შეიძინოს, თანაც, საკმაოდ მაღალ ფასად – 1 კვტ/სთ 8.88 ცენტად, მაშინ, როცა თურქეთში 1 კვტ/სთ შესაძენი ფასი 3.9 ცენტია! **ამის მერე, მიდი და გაერკვიე, თუ რა და როგორი, ჩვენი ეკონომიკისთვის დამღუპველი, მუხლებია ჩადებული არა მარტო ხუდონჰესთან დაკავშირებით დადებულ, არამედ, სავარაუდოდ, ნებისმიერ კონტრაქტში!**

ამ, აშკარა დანაშაულებრივი კონტრაქტის შემხედვარეს, უკვე აღარ მიკვირს ის პარადოქსული მოვლენა, რაზედაც ზუსტი პასუხი დღემდე არ გამაჩნდა. რამდენიმე წლის წინათ, ბატონმა **კახი კალაძემ** სიამაყით გამოგვიცხადა, 27 ელექტროსადგური აშენდა საქართველოშიო! მაგრამ, ის კი აღარ ახსნა – ელსადგურების შენებას დენის ტარიფის ზრდა რატომ ახლავს თან, კლების ნაცვლად. ახლახან ხომ იგივე, მოსალოდნელი გაძვირებები (დენზე, გაზზე, წყალზე, ჰაერზე... უკაცრავად, ჰაერზე – ჯერ არა!) გვახარა სემეკის თავმჯდომარედ დანიშნულმა კალაძის წინამორბედმა ქალაქის მერმა **დავით ნარმანიამ**.

27 ელსადგურმა თუ საპირისპირო შედეგი მოგვცა – გაიაფების ნაცვლად გაძვირება, მაშინ ერთი ან, თუნდაც, რამდენიმე გიგანტური ჰესის აშენების შემდეგ ვითომ რატომ გვეშველება, ვინმე იძლევა იმის გარანტიას, რომ დენის ტარიფი კი არ გაიზრდება, არამედ შემცირდება? არა, რა თქმა უნდა, არავინ! **გამოდის, თუნდაც, მხოლოდ ხუდონჰესთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებიდან, რომ სხვების (არა მარტო უცხოელი ინვესტორების!) გასამდიდრებლად, როგორც ხალხი ამბობს, უნდა დავაქციოთ სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, მთიანეთი და სხვა კუთხეები?!**

## 2. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი

**საინვესტიციო ჯამური ღირებულება:** 2.5 მილიარდი დოლარი. **დამფინანსებელი:** ანაკლიის განვითარების კონსორციუმი (დაფუძნებული **მამუკა ხაზარაძის** თიბისი ბანკის მიერ – 100 მილიონი დოლარის საკუთარი კაპიტალით და სახელმწიფოს „საპარტნიორო ფონდის“ 100 მილიონით); **წარმოებული პროდუქცია (ფუნქცია):** ტვირთების მიღება-დამუშავება დასავლეთ-აღმოსავლეთიდან; **ეკონომიკური დასაბუთება:** არავითარი!

პორტის მშენებლობის პირველი ფაზის დასრულებისთვის კიდევ საჭირო 400 მილიონ დოლარს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ანუ ბანკები (EBRD – ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, ADB – აზიის განვითარების ბანკი, OPIC – კერძო საინვესტიციო კორპორაცია და სხვები) კონსორციუმს სესხად არ აძლევენ, ისინი პორტის ტვირთებით უზრუნველყოფის დასაბუთებას მოითხოვენ (100 მილიონი ტონა ტვირთით მომარაგებას ყოველწლიურად 5 წლის მანძილზე!), ან – შესაბამის გარანტიებს სახელმწიფოსგან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პორტის შემოსავლები არ აღმოჩნდება საკმარისი და კონსორციუმი ვერ გადაიხდის 400-მილიონიან სესხს, სახელმწიფო ვალდებული იქნება, შეავსოს ეს თანხა – ბანკს აუნაზღაუროს დანაკლისი.

იხ. 6 გვ.



# მეგაპროექტები გარშემორტყმულ

(მეხუთე გვერდიდან) ამაზე კი საქართველოს ხელისუფლება, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, არ თანხმდება, რადგანაც ამგვარი გარანტიების გაცემა მაშინ, როცა პროექტის ეკონომიკური დასაბუთება არ არსებობს, უბრალოდ, დიდი უჭკუობა იქნება, თანაც, მეორე (პირველი უჭკუობა სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილი იყო მაშინ, როცა „საპარტნიორო ფონდიდან" 100 მილიონი გამოუყო კონსორციუმს). სესხებთან დაკავშირებით მრავლისმეტყველია ერთი ფაქტი – ზემოთ ჩამოთვლილი ბანკებიდან ერთერთმა, OPIC-მა ისე გამოყო ფოთის პორტის გაფართოებისთვის 50 მილიონი დოლარი, რომ არავითარი გარანტიები სახელმწიფოსგან მას არ მოუთხოვია! ერთი სიტყვით, 2018 წელს დიდის ამბით დაწყებული გრანდიოზული მშენებლობა დღეს, თითქმის, გაჩერებულია – უფულობის გამო ძირითადი სამუშაოების დაწყება არ ხერხდება (შესრულებულია მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები – მიწის მომზადება და ზღვის ფსკერის დაღრმავება)!

აი, ასეთი გაჭირვების ჟამს, 26 ოქტომბერს პროექტს მხსნელად მოევლინა ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ქნი **ელიზაბეტ რუდი:** „აშშ კვლავ განიხილავს ანაკლიის პორტს, როგორც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვან პროექტს. იმედი გვაქვს, რომ მისი განხორციელება **ამერიკული ინვესტიციით** მოხდება". პრემიერმა **გიორგი გახარიამ** კი განმარტა: „ჩვენ ანაკლია წარმოგვიდგენია, როგორც საქართველოს და აშშ-ის **სტრატეგიული** პარტნიორობის დამადასტურებელი **პროექტი"**.

ორივე საყურადღებო განცხადებაა. გასაგებია, რომ ყველა ელჩი საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკის, მითითებების გამხმოვანებელია, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ვერავის – ვერც ინვესტორს და ვერც ბანკს ვერ დააძალებს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ჩადებას ისეთ პროექტში, რომელსაც ეკონომიკური დასაბუთება არ გააჩნია, რომელსაც არც სტრატეგიული ინვესტორი ჰყავს და არც პორტების ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფდა ბანკების სესხების დაცვას და ტვირთების მოზიდვას.

მაგრამ, მოდით დავუშვათ, რომ „სტრატეგიულმა მეგობარმა" რაღაც ხერხებით ანაკლიის პირველი ფაზის დაფინანსების პრობლემა მოგვიგვარა (სხვა ფაზებისთვისაც დახმარება აღგვითქვა), მაინც რჩება კიდევ რამდენიმე უფრო მნიშვნელოვანი და გაცილებით ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა.

**პირველი პრობლემა არის პორტის 100 მილიონი ტონა ტვირთით უზრუნველყოფა. ჩატარებული გაანგარიშებებით 10 მილიონ ტონაზე მეტის მოძიება ახლო მომავალშიც კი არ ხერხდება, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზითაც, მაქსიმუმი მხოლოდ 15 მილიონია! არადა, გვეუბნებიან: პორტი რომ ეფექტური იყოს, 100 მილიონი ტონაა საჭირო, და ეს რაოდენობა უკვე არსებული ტვირთების (ფოთი-ბათუმის პორტებისთვის გამიზნულის) გარდა, მხოლოდ ანაკლიისთვის, დამატებით უნდა მოიძიოთო. როგორ გინდა ამ პრობლემის გადაჭრა, როცა „სტრატეგიულმა მეგობარმა"(!) და, თანაც, დამფინანსებელმა(!) ღიად გამოგვიცხადა: რუსეთის და ჩინეთის ტვირთები ანაკლიაში არ უნდა მოხვდესო. აღმოსავლეთიდან წამოსული ტვირთები (მათ დიდ ნაწილს სწორედ ჩინეთის ტვირთი შეადგენს), ძირითადად, ისედაც აზერბაიჯან-რუსეთის გავლით ხვდება დღეს ევროპაში, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით მომავალში კიდევ 35 მილიონ ტონამდე ტვირთი წავა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ანაკლიისთვის რაღა დაგვრჩება?! ბევრი არაფერი!**

ახლა, ჩვენთვის სასურველი ვარიანტი განვიხილოთ. ისევ დავუშვათ, რომ დათბა ურთიერთობა შეერთებულ შტატებსა და რუსეთ-ჩინეთს შორის, რუსეთმაც მოწყალე თვალით გადმოგვხედა – არიქა, ანაკლიის პორტის პროექტი არ ჩაუვარდეს ჩვენს მეზობელ ერთმორწმუნე ერს, საქართველოს მივეხმაროთ, ტვირთებით მოვამარაგოთო და... ამ გზით თუ იმ გზით თავი მოვუყარეთ 50 მილიონ ტონა ტვირთს და მთავარი პრობლემა – აღმოსავლეთიდან ტვირთებით მომარაგების პრობლემა მოგვარდა. აბა, დასავლეთიდან ხომ ისედაც მოგვაწყდებიან, ჩვენს იქით სხვა რა გზა აქვთ, და მეორე 50 მილიონსაც მივიღებთ. ესეც ნანატრი 100 მილიონი!

კეთილი და პატიოსანი. ახლა **სხვა პრობლემები** განვიხილოთ. სათანადო ტექნიკით აღჭურვილ ანაკლიის პორტში გემების(!) დაცლა და დატვირთვა, ალბათ, არ გაძნელდება, მაგრამ შევძლებთ კი **100 მილიონი ტონა ტვირთის დამუშავებას პორტში** და, რაც მთავარია, **შემდეგ მათ გადაზიდვა-გადმოზიდვას ჩვენს გზებზე?**

მარტივი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ წელიწადში ასეთი მოცულობის ტვირთბრუნვასთან გასამკლავებლად აუცილებელი იქნება დღე-ღამეში 270 000 ტონა ტვირთბრუნვის უზრუნველყოფა (100 მილიონი: 365=274 000), რასაც დასჭირდება 70-ტონიანი 3 100 რკინიგზის ვაგონი, ანუ 50-ვაგონიანი 62 შემადგენლობა (220 000 ტონისთვის) და 2 000 25-ტონიანი სატვირთო ავტომანქანა – ფურა (დანარჩენი 50 000 ტონისთვის) (შეფარდება ვაგონებსა და ფურებს შორის, ცხადია, შეიძლება სხვა იყოს, მაგრამ შესაკრებთა გადანაცვლებით...).

24-საათიან უწყვეტ(!), კონვეიერულ რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში, პორტში შემოსული მატარებლის ერთი შემადგენლობის (ანუ 50 ვაგონის) ჩამოცლას და ამის პარალელურად მიმდინარე, პორტიდან გამავალი მეორე შემადგენლობის დატვირთვას, დაახლოებით 46-46 წუთი დასჭირდება (24 სთX60 წთ : 31=46.4 წთ), ანუ საშუალოდ თითო ვაგონს – თითო წუთი! ანალოგიურად, ერთი ფურის დაცლას და მეორის დატვირთვას დასჭირდება დაახლ. 1.5-1.5 წუთი (24X60:1 000=1.44 წთ)!

ეს პორტში მარტო დატვირთვა-გადმოტვირთვას რაც შეეხება.

ახლა **ვნახოთ გადაზიდვები** ანაკლიიდან აღმოსავლეთისკენ (ვთქვათ, ბაქომდე; მანძილი – 940 კმ) და უკან ანაკლიამდე, ანუ დღე-ღამეში თითოეული მიმართულებით უნდა იმოძრაოს მატარებლის 31-31 შემადგენლობამ საშუალოდ 30-30 კმ-ის ინტერვალით (940 კმ : 31=30 კმ). აიტანს კი საქართველოს რკინიგზა (უკვე არსებული სატვირთო და სამგზავრო მატარებლების გათვალისწინებით!) 62 შემადგენლობის (თითოეული სიგრძით – 1 კმ) დამატებას? აღარაფერს ვამბობ ამ გადაზიდვებისთვის საჭირო ათასობით ვაგონის, ფურის და, მინიმუმ, 120 ელმავლის შეძენაზე, რასაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი დასჭირდება დამატებით. არ ვამბობ, რადგანაც **თუ პრობლემის გადაჭრა ფულით ხერხდება,** როგორც ებრაელები იტყვიან, **– ის პრობლემა არ არის, ის ხარჯია მხოლოდ!**

ცხადია, რომ ბაქო იქნება თუ სხვა ადგილი, ისიც ანაკლიის პორტის მსგავსად უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე ტექნიკით, რათა იქაც მოახერხონ ამ ოდენობის ტვირთის დამუშავება 24 საათში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ **დანიშნულების ადგილზე სხვა, არა ანაკლიის პორტისთვის გამიზნული საკუთარი ტვირთებიც ექნებათ, რაც აუცილებლად შეაფერხებს ტვირთბრუნვას!**

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები მეტყველებენ იმაზე, რომ **ანაკლიის ეს მეგაპროექტი არ შეიძლება კომერციული პროექტი იყოს! საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (ფინანსური მხარე კიდევაც რომ არ ვახსენოთ), მისი ეკონომიკური დასაბუთება, პრაქტიკულად, შეუძლებელია!**

მაშ, რა არის, რას უნდა ემსახურებოდეს იგი? აი, რას ამბობს ანაკლიის მსგავს პროექტებთან დაკავშირებით ცნობილი ეკონომიკური ექსპერტი **ჯონ პერკინსი** თავის წიგნად გამოცემულ საჯარო აღსარებაში („ეკონომიკური მკვლელის აღსარება", გამოვიდა 2004 წელს და 30-ზე მეტ ენაზე ითარგმნა): **„ეკონომეტრიკის მეთოდებით შესაძლებელია, პრაქტიკულად, ნებისმიერი პროექტის დასაბუთება. თავსმოხვეული ამ პროექტებისთვის გამოყოფილი სესხები გახლავთ სახელმწიფოების დაკაბალების და ხალხის გაღატაკების მიზეზი, იგი სარგებლიანია მხოლოდ უცხოური კომპანიებისთვის და ადგილობრივი ოლიგარქიისთვის"!** გასაგებად არის ნათქვამი? ჰარვარდის, პრინსტონის და სხვა უნივერსიტეტების პროფესორს, თანაც, ერთ დროს თავად „ეკონომიკურ მკვლელს", ვფიქრობ, დაეჯერება. ჩვენ კი გვჯერა და მთელ მსოფლიოშიც გაიგეს, მაგრამ, სამწუხაროდ,

> **ეკონომეტრიკის მეთოდებით შესაძლებელია, პრაქტიკულად, ნებისმიერი პროექტის დასაბუთება. თავსმოხვეული ამ პროექტებისთვის გამოყოფილი სესხები გახლავთ სახელმწიფოების დაკაბალების და ხალხის გაღატაკების მიზეზი, იგი სარგებლიანია მხოლოდ უცხოური კომპანიებისთვის და ადგილობრივი ოლიგარქიისთვის"!**
>
> **ჯონ პერკინსი**

ეს ვერ გაიგო საქართველოს ვერცერთმა ხელისუფლებამ (ვერგაგების ახსნა ციტატაშია) !

მართალია, ანაკლიის პორტისთვის არც დასაბუთება არსებობს და, ჯერჯერობით(!), არც სესხებია გამოყოფილი, მაგრამ გამორიცხული არ არის, „სტრატეგიული მეგობრის" აქტიური ჩარევის (ინვესტირების) შემდეგ, ახლა უარზე მყოფმა საქართველოს ხელისუფლებამაც გასცეს რაღაც გარანტიები და პორტიც აშენდეს! წამგებიანი რომ იქნება მაინც?! იკითხავს კაცი. რა უჭირს მერე, წამგებიანი ის მხოლოდ ხალხისთვის იქნება, თორემ „უცხოური კომპანიებისთვის და ქართული ოლიგარქიისთვის" – გარანტირებულად მომგებიანი იქნება! „მომგებიანი" კონტრაქტების დადება მარტო ჰესებთან დაკავშირებით კი არ გვეხერხება!

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. ანაკლიის პორტს ეკონომიკური დასაბუთება რომ არ ჰქონია, ამის შესახებ მშენებლობის დაწყებიდან მხოლოდ ორი წლის თავზე შეიტყო ფართო საზოგადოებამ – დანიშვნიდან ცხრა თვეში(!) გათავისუფლებული ეკონომიკის მინისტრის **გიორგი ქობულიას** გამოსვლებიდან, რომელმაც ანაკლიის პორტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ყველასთვის გასაგებ ენაზე ისაუბრა სხვადასხვა ტელეეთერში. ქობულიას გამოსვლამდე კი მხოლოდ დამაიმედებელი შეფასებები გვესმოდა – რომ **ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვის და უსაფრთხოებისთვის,** იმდენად მნიშვნელოვნი, რომ ამის შესახებ კონსტიტუციაშიც კი გაკეთდა სპეციალური ჩანაწერი, ზუსტად „ნატოში" გაწევრებასთან დაკავშირებით შეტანილი ჩანაწერის ანალოგიური. მსგავსი „შორსმჭვრეტელური" და „სტრატეგიული" ჩანაწერები მსოფლიოს არცერთი სახელმწიფოს კონსტიტუციაში არ არსებობს (შესაძლოა, ჩვენი ხელისუფლების ტყუპისცალმა (მენტალიტეტით!) – ჩვენსავით ამერიკას მიჩერებულმა და რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა უკრაინის ხელისუფლებამ მოგვბაძოს)! ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ანაკლიის პორტთან ერთად ჩვენს მაღალ (თუ გრძელ) ნაპრეზიდენტალ ნაციონალს **ნახევარმილიონიანი(!)** ქალაქის – **ლაზიკას** აშენებაც ჰქონდა დაანონსებული. როგორ, რა სახსრებითააშენებდა მას და ვის ჩაასახლებდა იქ – სამეგრელოს აყრიდა მთლიანად თუ „ისტორიულ მეგობრებს" – თურქებს ჩამოგვისახლებდა, დაგვიმალა, ალბათ, სიურპრიზს გვიმზადებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ დასცალდა, ბედმა გაგვიღიმა!

**ანაკლიის პროექტი პოლიტიკური, ანუ სამხედრო პროექტია, თანაც, „ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი უსაფრთხოებისთვის"! ასე მიაჩნია ხელისუფლების ბევრ მაღალჩინოსანს და ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ლიდერსაც, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ ანაკლია ამერიკული წყალქვეშა ნავების ნავსაყუდელი გახდება და ჩვენი უსაფრთხოებაც – გარანტირებული. „სოჭი 200 კილომეტრშია ანაკლიიდან და ამერიკული რაკეტების შიშით პუტინი ველარ გაბედავს იქ ჩასვლასო", ბრძანა შალიკო პოლიტიკოსმა. ის კი არ იციან ამ „ჭკუით დატენილებმა", რომ ანაკლიის პორტის პროექტს, როგორც ამერიკული წყალქვეშა გემების ნავსაყუდელს მომავალში, განხორციელება არ უწერია! „ნატოს" რაკეტების განლაგებას რომ არ დაუშვებს რუსეთი თავის საზღვრებთან (თავისთავად ცხადია – არც ხმელეთზე და არც წყალქვეშ), და ამისთვის ყველა საშუალებას გამოიყენებს (სამხედროს ჩათვლით!), ამის თაობაზე ბევრჯერ გაგვაფრთხილეს რუსეთის პრეზიდენტმა, პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა და დეპუტატებმაც. აი, რუსული გემები კი სავსებით შესაძლებელია პორტის მშენებლობის პროცესში ან დამთავრებისთანავე ვიხილოთ, ყველაფერი ჩვენი „ხტუნაობის" ამპლიტუდაზე და „ზრდილობით გამორჩეულ" სიტყვა-პასუხზე იქნება დამოკიდებული!**

## 3. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ღირებულება:** ერთი მილიარდი ევრო; **დამფინანსებელი: ბიძინა ივანიშვილი; წარმოებული პროდუქცია (ფუნქცია):** თანამედროვე უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების გამოშვება; **ეკონომიკური დასაბუთება:** არავითარი (ზოგადად, განათ-

# „მეგობრებით“ საქართველოში

ლება და, მით უფრო მაღალი დონის განათლება განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლას, მის სიძლიერეს და სიმდიდრეს); **დამფინანსებლის პირობები:** არავითარი, ეს ქველმოქმედებაა, უნივერსიტეტი სახელმწიფოს კუთვნილება იქნება.

ერთი შეხედვით ამაზე უკეთესი რა უნდა ინატროს კაცმა, ნებისმიერმა სახელმწიფომ – მილიარდერი ქველმოქმედი კაცი, ისევე როგორც წინა ორი ათეული წლის მანძილზე უანგაროდ ეხმარებოდა თავის ხალხს – აშენებდა და არემონტებდა ტაძრებს, სკოლებს, თეატრებს, ისტორიულ ძეგლებს, კურორტებს და კიდევ ბევრ სხვა „მადლს დებდა ქვაზე“, ამჯერადაც საშვილიშვილო საქმეს აკეთებს. მშენებლობა შეფერხების გარეშე მიმდინარეობს და, ეჭვი არ მეპარება, ერთ-ორ წელიწადში უნივერსიტეტი სტუდენტების მიღებასაც დაიწყებს. ერთორს იმიტომ ვამბობ, რომ 2016-ში, როცა მშენებლობის დაწყება გვახარა ბ-მა ბიძინამ, სტუდენტების მიღება 2019-ში უნდა დაწყებულიყო; 2019-ში გვითხრეს – 2020-ის შემოდგომაზეო, მაგრამ ეს არ არის მთავარი.

მთავარი ის არის, რომ ეს პროექტიც „გარედან შემოგდებული“ მგონია, ჩვენი „კეთილი“ მრჩეველების მიერ რეკომენდებული. ყოველ შემთხვევაში, ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, ისევე, როგორც გიგანტური ჰესების და ანაკლიის პროექტები! ამ ეჭვებს მისი მასშტაბები ბადებდა (და, ამჯერადაც ბადებს) – **140 ჰექტარზე უნდა აშენებულიყო საუნივერსიტეტო კომპლექსი, სადაც 60 000 (!) სტუდენტს უნდა ესწავლა. როგორ შეიძლება, ეს ეჭვი არ გაგჩენოდა კაცს, როცა რუსეთის უდიდეს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში 35 000 სტუდენტი ირიცხება, ბუდაპეშტის ცნობილ უნივერსიტეტში – 24 000 და ოქსფორდში – 20 000!**




როგორც იქნა ვიღაცამ, არ ვიცი, ვინ (ალბათ, ხელისუფლებაში), ბევრი იფიქრა და 2019-ში გვამცნეს, რომ არა 60, არამედ 15 ათასი სტუდენტი ისწავლის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტშიო. 4-ჯერ(!) შეამცირეს 2016-ში დაუფიქრებლად გაცხადებული რაოდენობა!

სწავლა იქნება მხოლოდ(!) ინგლისურ ენაზე, სპეციალობების რაოდენობა – 20-25 (2020-ში სამი სპეციალობა იქნება: მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და მენეჯმენტი; შემდეგ კი, 2024-მდე ეტაპობრივად დაემატება : ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, საინჟინრო, ჰუმანიტარული მეცნიერებები, მედიცინა და სხვა) და იგი იქნება არა ტექნოლოგიური, როგორც თავიდან ეწოდებოდა მას, არამედ ფართო პროფილის, მაღალი რანგის მსოფლიო დონის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასეა ჩაფიქრებული. სწავლის საფასური უცნობია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უცხოეთიდან (ძირითადად, გერმანიიდან) იქნებიან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები, იგი 6-8 ათას დოლარზე ნაკლები ნაკლები, ალბათ, არ იქნება (დაახლოებით, ასეთივე ფასებია მოსკოვის და ბუდაპეშტის უნივერსიტეტებში, ხოლო ოქსფორდში – 9 000 ფუნტი სტერლინგი ადგილობრივებისთვის და ორჯერ მეტი უცხოელებისთვის). უცხოელ სტუდენტთა რაოდენობას რაც შეეხება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუ რამდენი უცხოელი აირჩევს ქუთაისს, მაგრამ არა მგონია, მათმა ხვედრითმა წილმა 10 %-ს გადააჭარბოს, რადგანაც ნებისმიერი ადამიანი უპირატესობას უკვე სახელმოხვეჭილ უნივერსიტეტს ანიჭებს, თუნდაც, ოდნავ მეტის გადახდა უწევდეს მას (ზემოთ ნახსენებ უნივერსიტეტებში მათი წილი 10 პროცენტია მოსკოვში; 25 % – ოქსფორდში და 30 % – ბუდაპეშტში). ასე რომ, 15 000 სტუდენტიდან 13 000 ქართველი უნდა ვივარაუდოთ. არც ისე ადვილი იქნება ამ რაოდენობის ინგლისურის კარგად მცოდნე ახალგაზრდის შერჩევა, რომელსაც სკოლის „ბაგაჟიც“ საკმარისად ექნება და, თან, შეძლებული მშობლებიც ეყოლება. შერჩევა გაძნელდება, მაგრამ იგი მოგვარებადია. მთავარი საკითხავია, თუ სად დასაქმდებიან ეს ახალგაზრდები უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ: დღევანდელ საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ? ძნელი გამოსაცნობია? **უცხო ენის არმცოდნეები გარბიან საქართველოდან და მაინც ახერხებენ სამსახურის შოვნას და, ინგლისურის კარგად მცოდნე, თანაც ისეთი დიპლომის მქონე, რომელსაც ევროპაში ექნება გასავალი (გამომდინარე თანამედროვე, მაღალი დონის სასწავლო პროგრამებიდან და პედაგოგთა შემადგენლობიდან, ვფიქრობ, ასეც იქნება), საქართველოში დარჩება? კიდევაც რომ დარჩეს, რომელ მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების საწარმოში ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში შევთავაზებთ ათასობით კურსდამთავრებულს სამუშაოს? მაღალგანვითარებულს ვინ ჩივის, საერთოდ, გვაქვს კი ისეთი საწარმოები ან ინსტიტუტები, სადაც მათ დავასაქმებთ, თუნდაც, საშუალო ანაზღაურებით? ძნელი მისახვედრი არ არის, ყველაფერი პირიქით მოხდება – ხელი შეეწყობა ჩვენი, მართლა კარგად მომზადებული ახალგაზრდების მასიურ გადინებას!** ჩემი ეს მოსაზრება, შეიძლება ითქვას, პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა განათლების საკითხებში, პროფ. **მიხეილ ჩხენკელმაც** დაადასტურა 10 ნოემბერს, როდესაც განაცხადა: „ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები იქნებიან **კონკურენტუნარიანები მსოფლიო ასპარეზზე“!** ამ უნივერსიტეტს მაშინ ექნებოდა აზრი, ანუ გამართლება, თუ გასულ შვიდ წელიწადში ისეთი ტიპის საწარმოინსტიტუტები შეიქმნებოდა, ან მომავალ ხუთ წელიწადში მაინც შეიქმნება, სადაც ამ უნივერსიტეტდამთავრებულებზე გაჩნდებოდა მოთხოვნილება!

## 4. მიწისქვეშა სასმელი წყლის პროექტი

კიდევ ერთ, ძალზე მნიშვნელოვან მეგაპროექტზე, რომელიც 2.1 მილიარდი დოლარი ჯდება და, რომელიც წერილის დასაწყისში არ მიხსენებია, მინდა, შევჩერდე. ესაა მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი (ჩვენთვის – ეკონომიკურად, სხვებისთვის – პირდაპირი გაგებით!) **მიწისქვეშა სასმელი წყლის პროექტი,** რომელიც 15 წელია (თუ მეტი არა), დამუშავებული აქვს ბ-ნ **პაატა გიორგაძეს** და მის თანამოაზრეებს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, მეწარმისა და მეცენატის, ბატონი რომან რურუას თავკაცობით..

პროექტი ეკონომიკურადაც დასაბუთებულია და ინვესტორებიც მოძიებული, მაგრამ გაურკვეველი, არგაცხადებული(!) მიზეზების გამო, მიუხედავად ბ-ნი გიორგაძის მრავალწლიანი ძალისხმევისა, ამ, მთელ მსოფლიოში მზარდი მოთხოვნილების ბუნებრივ პროდუქტს, რომლის ჩანაცვლება სხვა პროდუქტით შეუძლებელია (როგორც ეს, მაგალითად, ნავთობის შემთხვევაშია შესაძლებელი), რომელსაც არასოდეს ექნება გასაღების პრობლემა და, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი გაჭირვებული სამშობლო, ხელისუფლების მხრიდან აბსოლუტურად არ ექცევა ყურადღება. ჩვენი ეკონომიკური კრიზისიდან უმტკივნეულოდ გამომყვანი ამ პროექტის განხორციელებას (50 მილიონი ტონა ბოთლებში ჩამოსხმული წყლის ექსპორტია გათვალისწინებული, რაც ანაკლიის პორტს გადაჭარბებითაც კი უზრუნველყოფს აღმოსავლეთიდან მომავალი ტვირთებით) არა და არ დაადგა საშველი. წარმოუდგენელია ასეთი მზამზარეული პროდუქტი – „თეთრი ოქრო“ („შავ ოქროდ“ წოდებული ნავთობის ანალოგიურად) გაგაჩნდეს თავზე საყრელად (თუ სასხმელად) და მის ექსპორტზე არ იფიქრო, მით უფრო, იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ორი მესამედი სიღატაკეში ცხოვრობს. ვერავინ ვერ ხვდება მის მნიშვნელობას? ვერც „მეგობარი“ სახელმწიფოებიდან მომაგრებული მრჩევლებიც ხვდებიან? საქმეც იმაშია, რომ ყველა ყველაფერს ხვდება, ბრიყვი არავინაა, მაგრამ **არავის არ ჰყოფნის გამბედაობა სამშობლოს, ხალხის ინტერესებისთვის ენა შეუბრუნოს ნებართვების გამცემ სიუზერენს!**

უნდა შეგახსენოთ **მუამარ კადაფის** მიერ „ხელთქმნილი მდინარის პროექტის“ პრეზენტაციაზე თქმული 1984 წელს: **„ამ მიღწევის შემდეგ ამერიკის მუქარა ლიბიის წინააღმდეგ გაორმაგდება... შეერთებული შტატები ყველაფერს გააკეთებს სხვა პრეტექსტით, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამ მიღწევის შეჩერება იქნება, რათა ლიბიელი ხალხი ისევ გაჭირვებული, დაბეჩავებული დარჩეს“**.

ამ პროექტის მეშვეობით, რომლის განხორციელებას 25 წელი და 25 მილიარდი დოლარი დასჭირდა, ლიბიელ ხალხს წყალი უფასოდ მიეწოდებოდა 2011 წლამდე (კადაფის მხეცურად მოკვლამდე) 1 000 კმ-ით დაშორებული საჰარის უდაბნოში აღმოჩენილი (1953 წელს) მიწისქვეშა მტკნარი წყლის უზარმაზარი ზღვიდან (მოცულობით, 150 000 კუბური კმ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ორჯერ დიდი, ვიდრე კასპიის ზღვა!). განვითარებად ქვეყნებზე მაფიქრალებმა დასავლეთში დახმარების ხელი კი არ გაუწოდეს ლიბიას ამ უდიდესი პროექტის განხორციელებაში, რომელსაც მსოფლიოს მერვე საოცრება ეწოდა და, რომელიც 2008 წელს გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს, როგორც ყველაზე დიდი საირიგაციო პროექტი მსოფლიოში, პირიქით, მასხრად აიგდეს და პროექტის ჩავარდნას პროგნოზირებდნენ (უფრო კი, ნატრობდნენ!) – მთელ აფრიკაში ცნობილი, როგორც „ადამიანის ხელთქმნილი მდინარე“ (ინგლისურად – „the Great man-made river“), დასავლეთში ირონიულად გადააკეთეს, როგორც „დიდი გიჟი კაცის მდინარე“ (great mad man river“).

ანალოგიური მიწისქვეშა მტკნარი წყლის რეზერვუარი ნახევარი საუკუნეა ეგვიპტეშიც არის აღმოჩენილი, მაგრამ არავინ ფიქრობს ლიბიური პროექტის განხორციელებას, თავად 100-მილიონიან ეგვიპტეს ამის თავი არა აქვს (არადა, სასმელი და სარწყავი წყლის უდიდეს ნაკლებობას განიცდის), „მეგობარ“ დასავლეთს კი – მეტი საქმე არა აქვს... დაეხმაროს!

სასმელი წყალი იმდენად მნიშვნელოვანი საექსპორტო საქონელია, რომ დარწმუნებული ვარ, პაატა გიორგაძის პროექტიც, ოდესმე, აუცილებლად განხორციელდება, მაგრამ მისი ასე უსაშველოდ გაჯანჯლება მაფიქრებს და მაშინებს: **იმის მეშინია, რომ სანამ ეს მოხდება, საგარეო ვალების გადაუხდელობისთვის ისე შეიძლება წაგვიჭირონ კისერში ხელი „მეგობრულად“, რომ ვალების დაფარვა ჩვენი წყლით (სულაც, მიწაწყლით!) მოითხოვონ!**

**ასე რომ, ჩვენი მშვიდად ყოფნა მხოლოდ მაშინ შეიძლება თუკი, თვისობრივად ახალი, სწორი ორიენტაციის გაბედული ხელისუფლება გვეყოლება, რომელიც სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებისთვის „მეგობრების“ უკითხავადაც გაბედავს დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას, სხვა სახელმწიფოს ლიდერებთან დამოუკიდებლად დალაპარაკებას და ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ნამდვილად წაადგება ჩვენს ეკონომიკას!**

როგორ გგონიათ, გამორიცხულია ასეთი ვარიანტი? ეგ კი არადა, ახლაც რომ გადაწყვეტილი იყოს ხელშეკრულების დადება რომელიმე კომპანიასთან, ძნელი სათქმელია, თუ რა პირობები ჩაიდება შიგ – კონტრაქტებს ხომ არავინ არ ასაჯაროვებს, სულერთია, კერძო ქონებას ეხება ეს, თუ – სახელმწიფოსას, ხალხისას! **ასე რომ, ჩვენი მშვიდად ყოფნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი, თვისობრივად ახალი, სწორი ორიენტაციის გაბედული ხელისუფლება გვეყოლება, რომელიც სახელმწიფოს და ხალხის ინტერესებისთვის „მეგობრების“ უკითხავადაც გაბედავს დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმას, სხვა სახელმწიფოს ლიდერებთან დამოუკიდებლად დალაპარაკებას და ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც ნამდვილად წაადგება ჩვენს ეკონომიკას!**

დაბოლოს, არ შემიძლია, გვერდი ავუარო ყველასთვის საინტერესო და მტკივნეულ ტრადიციულ კითხვას: **გვეშველება რამე?** მართალია, ბევრჯერ და ბევრნაირად მაქვს მასზე ნაპასუხები და ზემოთაც, პრინციპში, ამ კითხვას ვპასუხობ, მაგრამ ცოტაოდენი კიდევ მინდა, დავამატო: **სანამ უცხოტომელებს – „ისტორიულ მეგობრებად“ წოდებულ თურქ-სპარსელებს და სხვებსაც ვიხუტებთ გულში და ერთი ბინის შეძენის სანაცვლოდ ბინადრობის ნებართვას და საქართველოს მოქალაქეობასაც ვანიჭებთ, ხოლო საქართველოში დაბადებულებს – მოსკოვში მოღვაწე ისეთ ქართველებს, როგორებიც არიან მსოფლიოში სახელგანთქმული ბალერონი, რუსული საბალეტო აკადემიის რექტორი ნიკოლოზ ცისკარიძე და ცნობილი პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჭაჭია, ხელს ვკრავთ და მოქალაქეობის აღდგენაზე(!) ვეუბნებით უარს, თანაც, სამარცხვინო მოტივით, თითქოს, ისინი საშიშნი არიან საქართველოს უსაფრთხოებისთვის, არაფერი არ გვეშველება!**



**იაკობ ლეჟავა,**
**ნოემბერი, 2019 წელი.**
**ტელ: 593550400**

# ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროექტი უფრო მეტია, ვიდრე საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტი

**ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის იდეას უმალვე მოჰყვა კრიტიკა — ხომ არ იყო ეს პიარისთვის გადადგმული ნაბიჯი?! კითხვები გაამძაფრა იმანაც, რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში პირველი სტუდენტების მიღებას მმართველი გუნდი ჯერ კიდევ წლების წინ გვპირდებოდა, თუმცა შარშან პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა კახა კუკავამ ეს უნივერსიტეტი სიმბოლურად ქუთაისის მუხნარის ტყეში „გახსნა" და აღნიშნა, რომ „დაპირებული 40 ათასი სტუდენტის ნაცვლად, აქ 40 ათასი ბაყაყი ყიყინებს".**



**ამის მიუხედავად, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სტარტი უკვე აიღო. პროცესები დაჩქარებულად ვითარდება და, მმართველი გუნდის დაპირებისამებრ, პირველ სტუდენტებს ეს უნივერსიტეტი 2020 წლის შემოდგომიდან მიიღებს სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე. სამივე მიმართულებაზე სწავლა ინგლისურენოვანი იქნება.**

**რას მოიტანს ქუთაისის საგანმანათლებლო ჰაბად გადაქცევის იდეა, ამის შესახებ სფეროს ექსპერტი, მკვლევარი ლევან გაბისონია გვესაუბრება.**

**— რა მნიშვნელობა აქვს ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს და განათლების გარდა დამატებით რა გავლენას იქონიებს რეგიონის განვითარებაზე?**

— მოგეხსნებათ, რომ იდეალური არაფერი არსებობს, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს სწორედაც რომ იდეალური პროექტია და არ არსებობს არანაირი საფუძველი კრიტიკისა. მე ვიტყოდი, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის პროექტი უფრო მეტია, ვიდრე საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტი. მას სტრატეგიულ-ეკონომიკური განზომილებაც აქვს. ეს მასშტაბური პროექტია, სამშენებლო-განაშენიანების ზონა 153 ჰექტარია, მისი ლანდშაფტი უნიკალურია, ვინაიდან 80 ჰა ენდემური სახის მცენარეებსა და ტბას აერთიანებს. პროექტი დაფუძნებულია all-in-one პრინციპზე, ანუ აერთიანებს უნივერსიტეტს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, სამედიცინო-სამკურნალო მიმართულებას, საცხოვრებლებს, გასართობ და სხვა სტუდენტურ ინფრასტრუქტურას. ამით დასავლეთ საქართველოში იქმნება ეკონომიკურად ძალიან აქტიური და დინამიკური ცენტრი. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტი ასევე გათვლილია უცხოელი სტუდენტებისთვისაც, რაც ქუთაისისა და, ზოგადად, რეგიონისთვის ძალიან სწრაფი განვითარების საფუძველი შეიძლება გახდეს.

**— ეკონომიკურად თუ გაქვთ გათვლილი, რა სარგებელს მიიღებს ამით საქართველო?**

— თუ ეკონომიკურად გადავიანგარიშებთ, ერთი სტუდენტი, 45000-იანი სწავლის საფასურის შემთხვევაში, სულ დახარჯავს $14 000-მდე, ეს ნიშნავს, რომ 5000 უცხოელი სტუდენტის შემთხვევაში წლიური შემოსავალი გახლავთ 200 მლნ ლარი. ამას რომ თავი დავანებოთ, ეს პროექტი შეიძლება გახდეს ინდუსტრიალიზაციისა და რეგიონში სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერების საფუძველი. მით უფრო, რომ უნივერსიტეტის და საგანმანთლებლო-სამეცნიერო ჰაბის კონცეფციის შექმნისა და იმპლემენტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტი, რაც პროექტს საფუძველშივე საერთაშორისო პროექტის სტატუსს ანიჭებს და უმაღლესი ხარისხი გარანტირებულია. ამიტომ ვუწოდებ მას სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ისტორიულ პროექტს, რადგან რეგიონისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის უდიდესი კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.

**— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, უნივერსიტეტის გარდა იგეგმება სამეცნიერო ცენტრისა და პროტონული თერაპიის ცენტრის მშენებლობა. რამდენად მნიშვნელოვანია პროტონული თერაპიის ცენტრის არსებობა ამ უნივერსიტეტის ბაზაზე?**

— პროექტი რომ უპრეცედენტოა, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სამეცნიეროკვლევითი და ადრონული (პროტონული) თერაპიის ცენტრია. მოგეხსენებათ, პროტონული თერაპია სიმსივნის მკურნალობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია, რომელიც გულისხმობს დასხივების გზით სიმსივნური უჯრედების განადგურებას. ჩვეულებრივი დასხივების დროს სიმსივნურ უჯრედებთან ერთად ასევე ნადგურდება ჯანმრთელი უჯრედები, მაგრამ პროტონული თერაპიის დროს ჯანმრთელი უჯრედების კვდომა მინიმალურ დონემდეა დაყვანილი, ამიტომ პროტონული, ანუ ციკლოტრონული თერაპია გასაკუთრებით რეკომენდებულია ბავშვებისთვის. „ქართუ ფონდმა" მსოფლიოში წამყვანი კომპანიისგან, IBA-სგან შეიძინა ციკლოტრონი, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, არის „დასხივების ნაკადის" წყარო. პროექტის ეს ნაწილიც ისეთი ხარისხით კეთდება, რომ არათუ ქვეყნისთვის, არამედ ზოგადად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სამეცნიერო, კვლევითი და სამკურნალო ცენტრი იქნება მსოფლიოში.

**— ძალიან ბევრი კრიტიკა გვესმის პროექტის განხორციელების ტემპებზე. ითქვა ისიც, თითქოს პროექტი წინასაარჩევნო პიარკამპანიის ნაწილია. რას ფიქრობთ ამაზე?**

— უშუალოდ მე არ ვარ პროექტის განხორციელებაში ჩართული, მაგრამ, თუ იქნება შემოთავაზება, არც დავფიქრდები, ისე ჩავერთვები და მთელ ჩემს გამოცდილებას მოვახმარ პროექტს, რადგან ვთვლი, რომ ეს სტრატეგიულ-ეკონომიკური ისტორიული პროექტია. რაც შეეხება ტემპებს, პირადად ვარ ნამყოფი მშენებლობის ადგილას და მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ სწრაფი ტემპით მუშაობენ. ვისაც მსგავს პროექტთან შეხება ჰქონია და დააკვირდება განხორციელების პროცესს, აუცილებლად მივა დასკვნამდე, რომ ტემპი არათუ დაბალი, საკმაოდ მაღალიცაა და ამ უნაკლო, იდეალური პროექტისთვის კრიტიკა კი არა, მადლობა ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

## ბოლივიას დროებითი პრეზიდენტი ჰყავს



**დროებით პრეზიდენტი ქვეყნის მეორე ვიცე-სპიკერი ჟანინ ანიესია. მან საკუთარი თავი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად მას შემდეგ დაასახელა, რაც საპროტესტო აქციების ფონზე ქვეყნის მოქმედმა ლიდერმა ევო მორალესმა სამშობლო დატოვა და მექსიკაში გაემგზავრა.**

**ჟანინ ანიესი ე.წ. გარდამავალ პერიოდში დაიკავებს პრეზიდენტის თანამდებობას და არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფს. ვადამდელი არჩევნები ბოლივიაში 90 დღის ვადაში უნდა გაიმართოს. ბოლივიის ყოფილი პრეზიდენტი 12 ნოემბერს მექსიკაში ჩავიდა, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი უკვე მიიღო. როგორც ექსპრეზიდენტი აცხადებს, მან ქვეყანა იძულებით დატოვა, რადგან ბოლივიაში მორალესის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა.**

**როგორც ცნობილია, მორალესის გადადგომის შემდეგ თანამდებობა დატოვეს მისმა მოკავშირეებმა. მათ შორის ვიცე-პრეზიდენტმა ალვარო გარსია-ლინერმა, ასევე საკანონმდებლო ორივე პალატის თავმჯდომარეებმა, რამდენიმე მინისტრმა და გუბერნატორებმა.**

## ჰილარი კლინტონი პრეზიდენტობას აპირებს?



**ჰილარი კლინტონი 2020 წელს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას არ გამორიცხავს. აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ახლო გარემოცვის წევრები მას მოუწოდებენ, 2020 წლის საპრეზიდენტო მარათონში ჩაებას.**

**„როგორც ამბობენ, არასოდეს თქვა არასოდეს. სულ ვფიქრობ, როგორი პრეზიდენტი ვიქნებოდი, 2016 წლის არჩევნებში ტრამპი რომ დამემარცხებინა. რას გავაკეთებდი განსხვავებულად და რას მოუტანდა ეს ჩემს ქვეყანასა და მსოფლიოს", — განაცხადა კლინტონმა და აქვე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პრეზიდენტად კენჭისყრა მის გეგმებში არ არის. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპმა დაამარცხა.**

## TESLA ევროპაში პირველ ქარხანას ბერლინში ააშენებს

**Tesla-ს გენერალური დირექტორის, ილონ მასკის განცხადებით, ევროპაში პირველი დიდი ქარხანა Gigafactory ბერლინში აშენდება. ამის შესახებ.**

**მასკის განმარტებით, კომპანია გერმანიის დედაქალაქში ქარხანასა და საინჟინრო-კონსტრუქტორულ ცენტრს ააშენებს. „ყველამ იცის გერმანულ წამყვან საინჟინრო ტექნოლოგიებზე და ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ გადავწყვიტეთ Gigafactory Europe-ს აშენება ბერლინში", — აღნიშნა მასკმა. მისივე თქმით, ქარხანა ბერლინის ახალ აეროპორტთან ახლოს აშენდება.**





# დიმიტრი ხუნდაძე: საკუთარ ხალხს ნაციონალური ჯოჯოხეთი ავაცილოთ!

(მესამე გვერდიდან)

**დარწმუნებული ვართ, რომ მაჟორიტარული არჩევნების ამგვარად ორგანიზების პირობებში ბევრად იზრდება სხვა პოლიტიკური მოთამაშეების მიერ „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატების დამარცხების ალბათობა, რადგან ამ უკანასკნელებს, სინამდვილეში, არ გააჩნიათ ხალხის არავითარი პერსონალური ნდობა და პატივისცემა და სწორედ ამიტომ ილტვიან ასე გამალებით პროპორციული სისტემისკენ, რათა ლამაზ დასახელებებს ამოაფარონ საკუთარი სისხლიანი წარსული და სახე. ცინიკურად გადანათლეს პარტიები, იქნებ როგორმე გააბრუონ ხალხი, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში გიგა ბოკერიას და როლანდ ახალაიას მაგივრად, „ევროპულ საქართველოს" ან „ძალა ერთობაშიას" ამოიკითხავს და იქნებ, ცდუნდეს. თორემ, საკუთარი სახელით საარჩევნო მარათონში შემოსული ეს ვაჟბატონები 5 პროცენტსაც ვერ აიღებენ, ამას სულ არ სჭირდება ცესკო და სოციოლოგია.**

**ცხადია, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვერსია გაცილებით ეფექტურად მოემსახურება პარლამენტში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალთა მრავალფეროვნების კეთილშობილურ იდეას და, რაც მთავარია, ეს მიზანი მიღწეული იქნება ისე, რომ არ დავაზიანებთ არც ერთ სხვა საზოგადოებრივ სიკეთეს და ინტერესს — ჩვენ მრავალფეროვნების ხარჯზე კი არ უნდა ვახეიროთ ნაცები, ნაცების ხარჯზე უნდა ვახეიროთ პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოება.**

და ბოლოს, ყოველგვარი სპეკულაციების გასაფანტად ვიტყვით, რომ სწორედ შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში დავამარცხეთ ჩვენ აბსოლუტურად მონოლითური და ყველაფერზე წამსვლელი, თავზეხელაღებული ხელისუფლება. ამიტომ თუ ხალხის ნდობა ექნება რომელიმე პოლიტიკურ ძალას, ის ხელისუფლებაში ნებისმიერ შემთხვევაში მოვა და ამიტომ არანაირი საჭიროება არ არის, ხელოვნურად ვუყაროთ სასუქი მავნებლებს.

აბსოლუტურად კარგად გვესმის, რომ შესაძლოა, ჩვენი უმრავლესობის ზოგიერთ წევრში უხერხულობას იწვევდეს ის გარემოება, რომ, გარკვეულწილად, პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შეთავაზების უკან წაღება გვიწევს. მაგრამ მოდი, გავიხსენოთ, როგორ შეხვდა „ნაციონალური მოძრაობის" ორივე ფრთა და მათი ახალგაზრდული დანამატები ჩვენს ინიციატივას — ნებაყოფლობით გვეთქვა უარი 73 მაჟორიტარულ მანდატზე, რადგან სხვამ თუ არა, ჩვენ ხომ ზედმიწევნით კარგად გვესმის, რომ არსებულ ვითარებაში, „ქართულმა ოცნებამ" რომ მაჟორიტარული არჩევნები წააგოს ნაცებთან, ამის თეორიული შანსიც არ არსებობს? ჩვენ ხომ მათგან არც მადლობას ვითხოვდით და არც ქათინაურებს, მაგრამ ელემენტარული ადეკვატურობა მოითხოვდა, რომ, მინიმუმ, დადებითი რეაქცია ჰქონოდათ ამ, პირდაპირ ვიტყვი, საჩუქარზე. მათ კი ჯერ თავად მიიწერეს ეს აქტივი და უფრო შორსაც წავიდნენ, უკვე თვეებია, ხალხს ეუბნებიან, რომ მათ გვაიძულეს, გადაგვედგა ეს ნაბიჯი. ამიტომ ნუ გვექნება კომპლექსი, რომ რამე უკან მიგვაქვს. **რაც გაცემულად არ ჩაგვითვალეს — უკან როგორ წავიღებთ იმას? როცა უტიფართა მხრიდან ასეთ თავხედობას ვაწყდებით, არათუ უფლებამისილი, ვალდებულიც კი ვართ, შევცვალოთ მიდგომა და გაკოტრებული დავტოვოთ „ნაციონალური მოძრაობა".**

FOR.GE

# საქართველოს გადარჩენისთვის ლოცვა-კურთხევით დამაშვრალი...

(პირველი გვერდიდან)

დიდი ლიახვის ხეობის ღირსეული შვილია მწერალი, დრამატურგი და მოძღვარი მერაბ ელიოზიშვილი, რომლის სიტყვა ყოველთვის ომახიანად ჟღერდა. მისი ფესვები მძლავრად იყო გადგმული ლიახვისპირა ძირძველ ქალაქში. მომავალმა მწერალმა ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელ დგვრისში გაატარა. აკი ამიტომაც თავისი ერთ-ერთი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავდა: **„დავიბადე 1934 წელს პატარა ქალაქზე მიკერებულ პატარა სოფელში. დღეს ეს გეოგრაფიული წილადი მთელად ითვლება და მას სახელად ჰქვია — ცხინვალი“.**

მ. ელიოზიშვილი ნაღვლიანად იხსენებდა ერთ დროს ვიწრო შუკებით ჩახლართულ, ბაღ-ვენახებით დამშვენებულ გლეხკაცის დაკოჟრილი მარჯვენით ნალოლიავებ მიწა მადლიანს, პურობითა და კაიკაცობით სახელგანთქმულ მშობლიურ სოფელს, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქვეყანაში მომძლავრებულმა განუკითხაობამ და ქაოსმა მზაკვრული კვალი დაატყო და ცხინვალმა თავის შემოგარენში შთანთქა.

დაიჭრა ხეხილი, ამოიძირკვა ვაზი — ქართველის სიამაყე, ზეზეურად ჩამოხმა კაკლის ხეები, დაწყდა არხები, დადუმდნენ და მოიშალნენ წისქვილები... ნაკუწ-ნაკუწად ქცეულ სავარგულებში ჯერ სოკოსავით მომრავლდნენ ქოხები, შემდეგ ორსართულიანი საცხოვრებელი ბინები, უფრო გვიან — მრავალსართულიანი სახლები, საწარმოები... **„ჩვენს შორიახლოს იყო ხერხეულიძეანთ მამულები. მარაბდელთა ერთი შტოს ბაღ-ვენახები... ახლა იქ, ცხინვალში, მხოლოდ ჩვენი წინაპრების საფლავებიღაა, აჩეხილი, უპატრონო ვაზის ცრემლით დატირებული. მათი სახელების ჩემს ნუსხას, ფერიცვალების ტაძარში ვკითხულობ, მრევლის შემოვედრებულ ბარათებთან ერთად“.**

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის იმ მადლიან და დალოცვილ წინაპართა სამკვიდროში „სხვანაირი სიყვარული იყო. გაღმა სოფელში ხმიადაშვილი ჭიმჭიმა ცხოვრობდა. პაპაჩემთან იყო სტუმრად. ღამით გააცილა პაპამ, რომ მივიდნენ, ჭიმჭიმამ უთხრა: ეხლა შენ უკან როგორ წახვალ, ისევ მე გაგაცილებო... მოვიდნენ დგვრისში პაპაჩემის სახლთან... ახლა პაპამ უთხრა — ასე ვერ გაგიშვებ, უნდა გაგყვეო... მიცილ-მოცილებაში, სიყვარულში დაათენდათ პაპასა და ჭიმჭიმას“...



„ტრიფონია“ კინოფილმიდან „შერეკილები“

დგვრისელი ელიოზიშვილები მცხეთიდან მოსულებად ითვლებიან. ვახუშტი ბატონიშვილი ამ გვარს ლიახვის ხეობის წარჩინებულთა და დიდებულთა შორის მოიხსენიებს. თუმც, მწერლის თქმით: **„ჩვენი გვარის უახლოეს წინაპარს — პაპაჩემ დავითს უფრო თავისი ლომა კამეჩების წყალობით იცნობდნენ ხეობაში, ვიდრე ვახუშტის დახასიათებით — მეურმე გახლდათ პაპაჩემი“.**

ცხინვალში ელიოზიშვილების კარისა ყოფილა XIV ს. საგვარეულო წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. მის ეზოში იკრძალებოდნენ ამ გვარიდან გარდაცვლილები. გასული საუკუნის **„70-იან წლებში გზის სამუშაოების წარმოება ეკლესიის ეზოსაც შეხებია და გარდაცვლილთა ნეშტებიც ამოყრილა. ცხინვალელ ჭაბუკს — მერაბ ელიოზიშვილს დიდი განცდებით შეუგროვებია თავის წინაპართა ძვლები, საკუთარ ეზოში გადაუტანია და იქ დაუკრძალავს“.**

მთის ნაკადულივით სუფთაა და შთამბეჭდავი ცხინვალელი შემოქმედის სიტყვაძარღვიანი, წყაროსავით მორაკრაკებდა ძალდაუტანებლად, შეუმღვრევლად და თან ლიახვური სურნელი მოჰქონდა. მისთვის მტკივნეული იყო ქართულ-ოსური კონფლიქტის მძიმე დღეებში იარაღის მუქარით ქართველებისგან მიტოვებული ქალაქი: **„ცხინვალში დარჩა ჩემი საყვარელი კაკლები, ბლები, ჩემი რუ, ლიახვის ტოტი, რომელზეც სამი წისქვილი იდგა. წისქვილები თან ფქვავდნენ, თან ყვებოდნენ ამბებს.**

**როცა მოვიჩიტე და ცხენზე შეჯდომა შევძელი, გადამიკიდებდნენ ტომარას ცხენზე და ჩაქჩაქით მიმქონდა საფქვავი წისქვილში. გამომეგებებოდა მეწისქვილე: „ეს ელიოზიანთ ბიჭია, მოდი შვილოო“. ჩამოიღებდა ჩემს საფქვავს და ურიგოდ გამიშვებდა. მე კი იქვე, რუში ვბანაობდი“.**



სწავლას მოწადინებულმა ჭაბუკმა 1952 წელს წარჩინებით დაამთავრა ცხინვალის №1 ქართული საშუალო სკოლა, სადაც ლეგენდარული დირექტორის ვახტანგ კასრაძის ხელდასხმით ითვისებდა მუსიკალურ განათლებას. იმავე წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ცხინვალში მიღებული არასრული მუსიკალური განათლება უმაღლესი სასწავლებლის სიმფონიურ ორკესტრში გამოიყენა, უკრავდა ვიოლინოზე.

უნივერსიტეტში ეუფლებოდა არაბულ ენას. **„აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ფრიადს მიწერდა. ის აკადემიკოსი, არაბისტებმა ქედი რომ მოიხარეს მის წინაშე და კრაჩკოვსკიმ — პეტერბურგის დიდი აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა თბილისში გადავიდაო, რომ თქვა, აი, ის კაცი მიწერდა ფრიადს. ერთხელ ერთი ლექსი გავშიფრე, X საუკუნის არაბი პოეტი ალბუთალაბის, რომელსაც თურმე ძლიერი არაბისტებიც ვერ ართმევდნენ თავს, ისეთი თავსატეხი იყო“.**

XX საუკუნის 60-იანი წლების თაობაში თავისი თვითმყოფადი ხელწერითა და სათქმელით მკაფიოდ წარმოჩინდა მერაბ ელიოზიშვილი. მისი შესანიშნავი ქმნილებები პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. არაერთ ნაწარმოებზე საგანგებო მნიშვნელობის ფილმი თუ სპექტაკლი დაიდგა. აღსანიშნავია მწერლის მდიდარი ლექსიკით შეზავებული, დარბაისლური მჭევრმეტყველური საუბარი. ამ მხრივ, საინტერესოა **აკაკი ბაქრაძის** შეფასება: „იგი ყველგან შინაური და ახლობელი, მეგობარი კაცი იყო და არის მათთან. მწყემსებთან, ნოღაითელებთან მკაფიოდ ჩანდა, საიდან მოდის მერაბის მოთხრობების, სცენარებისა და პიესების ენა — მდიდარი, მსუყე, მოქნილი, ძარღვიანი და მადლიანი. ეს შიდა ქართლის ქართველობის ენაა, ერთდროულად ასე დინჯად, დარბაისლურად, ნაზად და ვაჟკაცურად რომ ჟღერს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, ქართული ენის ეგზომ დამჭლევების, დასახიჩრებისა და გალატაკების ეპოქაში“.

პირველი სამი მოთხრობა 1958 წელს გამოქვეყნდა „ცისკრის“ №12 ფურცლებზე და მას შემდეგ ამ ჟურნალისთვის აღარ უღალატია. პირველი კრებული **„მოლოდინი“** 1961 წელს მკითხველმა გულთბილად მიიღო. მას მოჰყვა: **„დიდედები და შვილიშვილები“** (1964), **„ბებერი მეზურნეები“** (1968), **„სინოს წითელი ხარები“** (1968), **„ძმანო კახელნო“** (1975), **„კურდღლის სიმღერა“** (1987), **„ჰო თუ არა“** (1987), **„მოგზაურობა და ხიფათი“** (1992), **„აღემართენით“** (1999) და სხვა.

1991 წელს გამოსცა მოთხრობების კრებული **„წრებრუნვა“**.

მ. ელიოზიშვილის კუთვნილებაა კინოსცენარები: **„თეთრი ქარავანი“** (1963), **„დიდი მწვანე ველი“** (1967), **„დიდედები და შვილიშვილები“** (1969), **„ბებერი მეზურნეები“** (1973), **„დაბრუნება“** (1977). გადაღებულია ფილმებში: **„თეთრი ქარავანი“** (ბალთა), რეჟისორები ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა; **„გაგიმარჯოს მეზობელო!“** (ზღვარი), რეჟ. თამაზ გომელაური; **„შერეკილები“** (ტრიფონი), რეჟ. ელდარ შენგელაია; **„ქვიშანი დარჩებიან“** (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), რეჟ. გიორგი შენგელაია; **„დაბრუნება“,** რეჟ. თამაზ შარაბიძე.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ცისკრის ვარსკვლავივით მოკაშკაშე კალმოსანმა თავისი დასალიერი წლები საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმსახურებაში გაატარა. მისი შინაარსიანი ლიტერატურული მემკვიდრეობისა თუ ცხოვრებისეული განვლილი გზის შესახებ იმედიანად მიანიშნებდა ივ. მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეჟისორი თამარ ხიზანიშვილი: **„ქრისტეს ჯვრით უნდა შეგვიძლვეს თავის მშობლიურ ცხინვალში მამა ელიოზი — ქართველი ერის, საქართველოს აღდგომის მახარებლად — ჩვენი ბატონი მერაბ ელიოზიშვილი, ჩვენი ცხინვალის კოლორიტი, ნამდვილი ქართველი, მწერალი და დრამატურგი, პუბლიცისტი, მსახიობი. ქართული კრიალა სიტყვის და მრავალსახოვანების საკვირველი ოსტატი, ქართლის ბერმუხა, სიყვარულის ქომაგი, მცნობარი და ძმადნაფიცი არაბთა, თათართა, ურიათა, სომეხთა, ლეკთა, ჩეჩენთა, ოსთა, აფხაზთა, სხვათა და სხვათა“...**

მართალია, მამა ელიოზი ბოლო წლებში სულიერ მოღვაწეობას ეწეოდა, მაგრამ სამწერლო ასპარეზი არ დაუთმია. ამის დასტურია თუნდაც ახალი წიგნის **„აღემართენით“** სამზეოზე გამოსვლა, სადაც ავტორი მწარედ იხსენებს იმ ქარცეცხლიან დღეებში ქართველებისგან გამოხშირულ წინაპართა საცხოვრისს: **„მე, 30-იანელი თაობის ცხინვალელს, როგორც გამხმარ ბუჩქის წვეროზე — შინმოუსვლელი ჩიტის ბუდე, ისე შემიწვეს მამაპაპური სახლ-კარ-ციხე-ეკლესია. აჩეხილი ვენახებისა და ხილის ბაღების ცრემლებმა ლიახვი ისე აადიდა 37-ში, ხიდზე გადადიოდა მდინარის ტალღა, დამხრჩვალ, აკაფულ ხეხილთან და აჩეხილ ვაზთან ერთად!.. მერეც, ჩვენს სახნავ-სათესზე მდგარი მესანგრეთა პოლკი ჩვენი ერთადერთი გადარჩენილი ვენახის კბეჩა-კბეჩით მოიწევდა წინ. ჩემი და ჩემი ძმის დამყნობილი, ვენახის ბოლოზე ჩაყრილი ხეხილის: ფშატის, ნუშის ატყორცნილი ხეები დღემდე ცოცხალ ხილთა და სარჩალ-საგრილობლად შრიალებენ სამხედრო ყაზარმის წინ“...**

დევნილობის ჟამს, 65 წლის „ლიახვდალეულ“ იუბილარს კეთილი სიტყვებით ეხმიანებოდნენ მეგობარი კინორეჟისორები:

**რეზო ჩხეიძე — მერაბ ელიოზიშვილი ბრწყინვალე მწერალია. მისი პროზა, პიესები, სცენარები არავისას ჰგავს. პიესა „ბებერი მეზურნეები“ მთელი ეპოქაა ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში. როგორ მიაგნო ბატონმა მერაბმა ამ სამ ტკბილ მეზურნეს: ბუთხუზას, თედოს და სოსანას, მათ წარსულს მზით განათებულ გარემოს? ეს საიდუმლოა, კარგი და მომხიბვლელი საიდუმლო... მერედა, როგორ ჩამოქნა, იდუმალებით მოსილი გარემო სოსანასი ჯერ სცენარში და მერე კინოფილმში „დიდი მწვანე ველი“, რომელიც ასევე ბრწყინვალედ დადგა რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა და სული შთაბერა ჩვენი დროის დიდმა მსახიობმა დოდო აბაშიძემ...**

**მერაბ კოკოჩაშვილი — („სეხნი“), შენ ამ თაობას ეკუთვნი, რომელმაც 50-იანი წლების ბოლოს სულ სხვა სურნელი შეიტანა ქართულ ლიტერატურაში. ეს სურნელი მხოლოდ წრფელ განცდას ასდის და იმდენად გაბრუებული იყო, რომ იმ სიმართლეს მოწყურებულ დროს, ქართული კინო თქვენკენ, ახალი ქართული მწერლობისკენ გამოექანა. შენც არ გიმტყუნია და მწერლებთან ერთად „თეთრი ქარავანი“ შემორეკე ქართულ კინოში. მერე ამას „დიდი მწვანე ველი“ მოჰყვა, „დიდედები და შვილიშვილები“... ეგეც არ იკმარე და ეკრანზე როგორც მსახიობმა, ისე შემოაბიჯე...**

იავარქმნილი ცხინვალი იყო სახელოვანი მწერლის ფიქრი და დარდი. აღშფოთებას ვერ მალავდა, რომ ახლო წარსულის ცხინვალში ერთმანეთისგან 400-500 ნაბიჯის დაცილებით მდგარი სამი ქართული ეკლესია დაანგრიეს ქალაქის „მესვეურებმა“ სამხედრო ძალების გამოყენებითა და აფეთქებით. მათ შორის მის კართან — მისივე გვარის საკუთრება, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ერთნავიანი ბაზილიკა. **„პარტიულ სკოლებში ნაწვართმა ყულუმბეკათებმა და ჩოჩითებმა, მათზე უწინ კი მათმა მამებმა, გზა-კვალაბნეულ თავიანთ „მრევლს“ განუწყვეტელი სიძულვილის შხამიანი ლუკმა ჩაუდეს; დიდი, ქრისტიანული ძმობა-მეგობრობის სანაცვლოდ, ცრუ-ალანური საწყისების ქართლში ძიების ბალღამი ასვეს სულ ცოტა, უკანასკნელი, ორი ათწლეულის ყმაწვილკაცობას და იმპერიული ხიშტებით წინ შემოაგებეს საქართველოს თავისუფლების პირველ, სუსტ ნაბიჯებს“.**

თებერვლის მიწურულს (2005), თავის ხალხზე და ქვეყანაზე დიდად შეყვარებულ, 70 წელს გადაცილებულ ხელხვავიან კალმოსანს თბილისში ჩვენებური პოეტი და ჟურნალისტი **ლია ჭიღლაძე** სტუმრობდა: **„საბურთალოზე, მეცხრე სართულზე გამოკეტილა მწერალი. მალე გაზაფხული მოვა და სად წავიდეო, — ამბობს ცხინვალში დაბადებულ-გაზრდილი კაცი, ლიახვის ტალღებს შეჩვეული, კავკასიონის გრილი, საამო ჰაერით გამოკვებილი და ქართლის ძველი ტრადიციების, სიტყვა-პასუხის მატარებელი“...**

სასიქადულო მწერალსა და დრამატურგს მერაბ ელიოზიშვილს, საქართველოს გადარჩენისთვის ლოცვა-კურთხევით დამაშვრალ მამა ელიოზს მიმდინარე წლის ზაფხულში დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. იუბილარ შემოქმედს ცხინვალში შესვლა ოცნებად დარჩა, გარდაიცვალა 2012 წლის 4 იანვარს. მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ თბილისის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა სამარადისო სასუფეველი...

**რობერტ ოდიკაძე,**

**ჟურნალისტთა ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

სუმო

# „ტოჩიმ“ ზედიზედ მეორედ მოიგო

**კიუშუ ბაშოზე ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. წლის ბოლო სუპერტურნირის მე-4 საშეჯიბრო დღეს ტოჩინოშინი მესამე მაეგაშირა ტაკარაფუჯის დაუპირისპირდა და მისი დამარცხება კუბიჰინერის ილეთით მოახერხა.**

აღსანიშნავია, რომ ორი სასტარტო ორთაბრძოლის შემდგომ, რომლებიც შერკინებაში უპირატესობის მიუხედავად „ტოჩიმ“ მაცდური ილეთებით დათმო, ბოლო შეხვედრებში იგი საკმაოდ კარგ კონდიციებში შევიდა.

ეს აღნიშნული წყვილის მე-17 დაპირისპირება იყო, რომელთაგანაც 10 ჩვენებურის გამარჯვებით დასრულდა, 7-ში კი ის დამარცხდა.

გორგაძის მომდევნო მეტოქე დღეს პირველი მაეგაშირა დაიეიშო იქნება, რომელსაც აქამდე 9-ჯერ შეხვედრია და მოგება-წაგების ბალანსი ლევანის სასარგებლოდ 6:3-ზეა, მიმდინარე ბაშოზე კი მასპინძელს, ლევანის მსგავსად, ორი მოგების საპირისპიროდ ორი მარცხი აქვს.

შეგახსენებთ, რომ ტოჩინოშინი ოძეკის პრესტიჟული ტიტულის დასაბრუნებლად იბრძვის, ამისთვის კი მან დარჩენილი 11 ორთაბრძოლიდან



მინიმუმ 8 შეხვედრა უნდა მოიგოს.

„ტოჩისგან“ განსხვავებით, მარცხი განიცადა თეიმურაზ ჯუღელმა. ამჯერად გაგამარუ ვაკამოტოჰარუს შეხვდა და საკმაოდ ადვილად, იორიკირის ილეთით წააგო.

ჩვენებურმა შერკინება კარგად დაიწყო, თუმცა, შემდგომ დანებდა და მეტოქეს მისი დოჰიოს მიღმა გადაყვანა არ გასჭირვებია.

„გაგა“ ჯურიოს მე-11 ნომერს მესამედ დაეჭიდა და თუ განვლილ ორ შეხვედრაში მისი ძლევა მოახერხა, ახლა თავად დამარცხდა და ურთიერთშეხვედრებში მოგება-წაგების ბალანსი მეტოქემ მინიმუმამდე დაიყვანა — 1:2.

ამრიგად, ჯუღელს მიმდინარე ბაშოზე ერთი მოგების საპირისპიროდ 3 მარცხი აქვს და დადებითი ბალანსის დასაფიქსირებლად დარჩენილი 11 ორთაბრძოლიდან მინიმუმ შვიდის მოგება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, მესამე დივიზიონ მაკუშიტაში დაქვეითდება.

რაც შეეხება მომავალ მეტოქეს, ქართველი გოლიათი დღეს ჯურიოს მე-12 ნომერ აქუას შეებმება, რომელსაც აქამდე ერთხელ, 2018 წლის სექტემბრის ბაშოზე შეხვედრია და მისი დამარცხება ოშიდაშის ილეთით მოახერხა.

**კობა კობახიძე**

თანამედროვე

# „ჩვენი ბიჭი“ კანადაში



**შაიბიან ჰოკეიში საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი, 19 წლის თბილისელი თემურ ვედიაპინი პირველი ჩვენებური გახდა, რომელმაც კანადაში სათამაშოდ მიწვევა მიიღო.**

ცნობა ამის შესახებ საქართველოს ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტმა, ასევე თბილისის მკვიდრმა **ილო დავიდოვმა** გაავრცელა. კანადის ახალგაზრდული პრემიერ-ლიგის (U-21) გუნდთან „მანივოკი მუსტანგს“-თან კონტრაქტი ახალგაზრდა სპორტსმენმა ახლახან გააფორმა.

თემურ ვედიაპინი 2000 წელს დაიბადა, დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, ჰოკეის ხუთი წლიდან თამაშობს. წლევანდელ სექტემბრამდე საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და თბილისური გუნდის „რუხი მგლების“ წევრი იყო, რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში ასპარეზობს.

შაიბიანი ჰოკეის სიყვარულს ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენი მამას, **მიხეილ ვედიაპინს** უნდა უმადლოდეს, რომელიც ერთ დროს ასევე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა. ჰოკეის თემურის უმცროსი ძამიკო **ნიკოლოზიც** თამაშობს.

2017 წელს, შაიბიან ჰოკეიში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში, თემურმა მესამე დივიზიონის გუნდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ასევე წარმატებით გამოდიოდა ნაკრების შემადგენლობაში 2017, 2018 და 2019 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში.

— „მანივოკი მუსტანგს“-ის წარმომადგენლები რამდენიმე წლის მანძილზე აკვირდებოდნენ ჩემს თამაშს, მათ შორის საქართველოს ნაკრებშიც, რის შედეგადაც თავისთან სათამაშოდ მიმიწვიეს და ძალიან გულთბილადაც მიმიღეს, — განაცხადა თემურ ვედიაპინმა. — აქ, კანადაში, ყველა პირობაა შექმნილი სრულფასოვანი ვარჯიშისა და რეაბილიტაციისთვის, ამდენად, ყველაფერს გავაკეთებ კლუბის შემადგენლობაში ადგილის დასაკვიდრებლად და გულშემატკივართა იმედების გასამართლებლად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პირველი შეხვედრები კანადის ახალგაზრდულ პრემიერ-ლიგაში „მანივოკი მუსტანგსმა“ გასვლაზე ჩაატარა.

**დალი ხუნდაძე**

ფეხბურთი

# ლუკა მოდრიჩი GOLDEN FOOT 2019-ის მფლობელია

**მადრიდის „რეალის“ 24 წლის ვარსკვლავს პრიზი მონტე-კარლოში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე გადასცეს. ჯილდოსთვის ლუკა მოდრიჩთან ერთად კრიშტიანო რონალდო, ტიაგო სილვა, სერხიო რამოსი, უეინ რუნი, სერხიო აგუერო, რობერტ ლევანდოვსკი, ჯორჯო კიელინი და ჟერარდ პიკე იბრძოდნენ.**

ხორვატი ნახევარმცველი „სამეფო კლუბთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი, ასევე ორჯერ სუპერთასისა და ოთხჯერ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა. 2018 წელს იგი ეროვნულ გუნდში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალს დაეუფლა, სადაც ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს,




ხოლო 2018-19 წლების სეზონში ყველა პრესტიჟული ინდივიდუალური პრიზი გადასცეს.

„Golden Foot“-ს 2003 წლიდან ანიჭებენ და მისი პირველი გამარჯვებული რობერტო ბაჯო გახდა. აღნიშნული ჯილდო სულ 17 ფეხბურთელს აქვს მიღებული.

„golden foot“-ს მფლობელები არიან: პაველ ნედვედი, ანდრეი შევჩენკო, რონალდო, ალესანდრო დელ პიერო, რობერტო კარლოსი, რონალდინიო, ფრანჩესკო ტოტი, რაიან გიგზი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, დიდიე დროგბა, ანდრეს ინიესტა, სამუელ ეტო’ო, ჯანლუიჯი ბუფონი, იკერ კასილიასი და ედინსონ კავანი.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ციბულკოვამ კარიერა დაასრულა

**30 წლის დომინიკა ციბულკოვამ კარიერა დაასრულა. აღნიშნულ ინფორმაციას WTA-ის ოფიციალური ვებ-გვერდი ავრცელებს.**

მან 2017 წელს რეიტინგში საუკეთესო მაჩვენებელი — მეოთხე ადგილი დააფიქსირა და ერთეულთა თანრიგში WTA-ის რვა ტიტული მოიგო, მათ შორის 2016 წელს — სეზონის შემაჯამებელი ტურნირი.




დიდი სლემის ტურნირებზე სლოვაკი ჩოგბურთელი 2014 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გავიდა, სადაც ჩინელ ნა ლისთან წააგო.

სულ კარიერაში ციბულკოვამ 450 შეხვედრა მოიგო და 299 დათმო. დომინიკამ ჩოგბურთის თამაშით 13.7 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ოლიმპიზმი

# ახალი პროგრამით

**სპორტის მოყვარულთ თავშესაქცევად ახალი გასართობი აქვთ. ვიდეოთამაშების ცნობილმა იაპონურმა მწარმოებელმა Sega-მ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან (IOC) თანამშრომლობით შეიმუშავა პროგრამა „მარიო და სონიკი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე“.**



მთელს მსოფლიოში ცნობილი პროექტის გმირი მარიო და ზღარბი სონიკი გეიმერებს ოთხწლეულის უმთავრესი მულტისპორტული ფორუმის ატმოსფეროში ამოგზაურებენ. ამასთან, მათ საშუალება ექნებათ საკუთარი ძალები ტოკიო 2020-ის პროგრამაში წარმოდგენილ ოლიმპიურ დისციპლინებში მოსინჯონ.

თამაშებთან ერთად, მთავარი გმირები ასევე ეწვევიან ცნობილ სპორტულ ობიექტებს და ტოკიოს ღირსშესანიშნაობებს, იმოგზაურებენ წარსულში — 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც სწორედ იაპონიის დედაქალაქი მასპინძლობდა.

კომპიუტერული თამაში გასაყიდად თავდაპირველად ამომავალი მზის ქვეყანაში გამოვიდა, შემდეგ — ამერიკაში, 8 ნოემბრიდან კი — დანარჩენ მსოფლიოში.

**ბეჟან დოლიძე**

# გონების მომავალი

**ფუტუროლოგებმა დიდი ხანია, შეამჩნიეს, რომ ბოლო საუკუნის მანძილზე კაცობრიობა განვითარების მომდევნო საფეხურზე, საშუალოდ, ყოველ ათ წელიწადში გადადის, მაგრამ ბოლო დროს ეს პროცესი იმდენად აჩქარდა, რომ უახლოესი მომავლის თუნდაც ხუთი წლით ადრე განჭვრეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამის დასტურად თუნდაც იმის აღნიშვნა კმარა, რომ თანამედროვე კომპიუტერების სიმძლავრე ყოველ წელიწადნახევარში ორმაგდება(!)**

საქვეყნოდ ცნობილმა იაპონელმა ფუტუროლოგმა **მიტიო კაკუმ** სცადა, მსოფლიოს სამ ასეულამდე წამყვან მეცნიერთან გაერკვია, თუ როგორი იქნება თანამედროვე მსოფლიო საუკუნის შუა პერიოდისთვის. საყოველთაო აზრით, მთავარი, რაც უახლოეს სამ ათეულ წელიწადში ძირეულად შეცვლის ქვეყანას, ეს იქნება **მოლეკულური ფიზიკა,** რომლის მეშვეობით შეიქმნება **ხელოვნური ინტელექტი, ნანო და ბიოტექნოლოგიები.** თუ სამრეწველო ეპოქაში ენერგიის წყაროები ნავთობი და ქვანახშირი იყო, **ინფორმატიკის ეპოქაში მათ ადგილს მონაცემები დაიკავებენ.**



რეალურად კი ეს მოხდება ისე, რომ ნებისმიერი პროფესიის რობოტი – ექიმი, იურისტი, ინჟინერი და ა.შ. თქვენ სახლში დღე-ღამის ნებისმიერ დროს პირველსავე მოთხოვნაზე გაჩნდება და საჭირო ინფორმაციას, ან რჩევას მოგაწვდის, ავტომანქანები მძღოლების გარეშე იმოძრავებენ და სადგომსაც თავისით მონახავენ, თანაც ფრენასაც შეძლებენ – ასეთები, მაგალითად, უკვე დაფრინავენ დუბაიში.

მეცნიერები წინასწარმეტყველებენ, რომ მომავალში ყველა მომსახურება და საქონელი უფრო იაფი გახდება. **მთავარი კაპიტალი არა საქონელი, არამედ ინტელექტუალური საკუთრება გახდება.** სატელევიზიო გადაცემების ნახვა კი უბრალო სათვალის გაკეთებით იქნება შესაძლებელი. მეტიც, **მომავლის ინტერნეტი თვალის ლინზაში განთავსდება – თვალს დაახამხამებთ და, პირდაპირ ქსელში შეხვალთ.** ყოველივე ეს ცხოვრების უკლებლივ ყველა ასპექტზე აისახება. ვთქვათ, **სხვადასხვა ინფორმაციის დამახსოვრების საჭიროება საერთოდ მოისპობა, სწავლება კი საერთოდ დაკავშირებული აღარ იქნება მასთან.**

რამდენად რეალურია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უსაფრთხოა ასეთი მომავალი კაცობრიობისთვის, ცხადია, ამის თქმა დღესდღეობით ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ პროგრესი სწორედ ამ გზით მიდის. მაინც რა იქნება მომავალში, როგორც ჩანს, ამას უკვე მომავალი თაობა საკუთარი თვალით იხილავს.

**მოამზადა ნინო ალექსანდრიამ**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{I}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვლადიმერ გოქაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვლადიმერ გოქაძე (პ/ნ 60001079566), ქ. ქუთაისი, ტყიბულის ქ. №77.
**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ტყიბულის ქ. №77 (საკადასტრო კოდი: 03.03.25.149).
**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 24669.42 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 14 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 27 ნოემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP63517019;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 635170
6. **მოვალე:** ვლადიმერ გოქაძე (პ/ნ 60001079566), ქ. ქუთაისი, ტყიბულის ქ. №77;
მერი გოქაძე (პ/ნ 60001079567), ქ. ქუთაისი, ტყიბულის ქ. №77.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP63517019; ლოტის ნომერი: 635170).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 27 ნოემბრის 11:00 საათამდე.

## სანთელი

# განშორების 40 დღე

## დარეჯან-ია ჭანიშვილის ხსოვნას

**ყოველდღე და ყველგან, გარეთ თუ სახლის ყველა კუთხე-კუნჭულში ვგრძნობთ შენს არსებობას. ჩვენთან ხარ და მარად ჩვენთან იქნები. ორმოცი დღეა, ყოველდღე გვიკვირს, რატომ არ გვირეკავ და არ გვკითხულობ. შემდეგ კი ვფხიზლდებით და მწარე რეალობას ვეჩეხებით...**

**ტკბილი და განუმეორებელი მეუღლე, დედა და ბებია, საზოგადოების ღირსეული წევრი, დამსახურებული ეკონომისტი, მეგობრის გამტანი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული გულანთებული მამულიშვილი, შვილებისა და შვილიშვილებისთვის მაგალითის მიმცემი – ერთი სიტყვით, სანიმუშო და ლამაზ ქართველ ქალად დარჩები ჩვენს გულებში.**

**გვაკლიხარ და გვენატრები. ნათელი შენს ხსოვნას...**

**მეუღლე, შვილები, შვილიშვილები**

# ფოთისა და ბათუმის პორტებში საზღვაო რეისების რაოდენობა გაიზარდა

**მიმდინარე წლის ოქტომბერში ფოთის პორტში საზღვაო რეისების რაოდენობა, წინა წლის ოქტომბერთან შედარებით, 52 პროცენტით გაიზარდა, ბათუმის პორტში კი – ხუთი პროცენტით. მონაცემები შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკაშია ხელმისაწვდომი.**

2018 წლის ოქტომბერში ფოთში 158 საზღვაო რეისის შემოსვლა-გასვლა დაფიქსირდა, 2019 წლის ოქტომბერში კი – 241-ის. ბათუმის პორტი გასული წლის ოქტომბერში 99 რეისს მოემსახურა, მიმდინარე წლის ოქტომბერში კი – 104-ს.

რაც შეეხება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს, ფოთის პორტში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ ოქტომბერში 2 284 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 88 პროცენტით აღემატება. ბათუმის პორტის მეშვეობით საქართველოს 1 344 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია (ზრდა 0.2%).




# ამერიკელი სპორტსმენი ვარჯიშის დროს დაიღუპა

**ცნობილი ამერიკელი ტანმოვარჯიშე, მელანი კოულმენი ტრაგიკულად დაიღუპა.**



სამხრეთ კონექტიკუტის უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტი, ოლიმპიური ათლეტების მოსამზადებელი შეკრების დროს, სპორტულ ტანვარჯიშში ორძელზე ასრულებდა ვარჯიშს და ნახტომის შესრულებისას ზურგის სერიოზული დაზიანება მიიღო. კოულმენი მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამდღიანმა მკურნალობამ, სამწუხაროდ, შედეგი ვერ გამოიღო და ტანმოვარჯიშე გარდაიცვალა. მელანი კოულმენს მილფორდის იურიდიული სკოლა ჰქონდა დამთავრებული, რომლის ტანვარჯიშის გუნდის კაპიტანიც იყო.

CNN

# აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა



**ქაბულში შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან ძლიერი აფეთქება მოხდა.**

წინასწარი ცნობით, დაიღუპა 7 ადამიანი, კიდევ 7 კი დაშავდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომობილში იყო დამონტაჟებული. აფეთქება ადგილობრივი დროით, დილის 07:30-ზე მოხდა, როდესაც ქუჩაში ცოტა ხალხი იყო. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია.

DEUTSCHE WELLE

# გილოცავთ



პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ძოწულია, ივიკო საყვარელიძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი** ულრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ დაბადების თარიღს (15/XI), დაბადებიდან 80 წლისთავს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, ჩვენი ქვეყნის სახელოვან სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის ყოფილ დეპუტატს, ჩვენი ქვეყნის მშენებელთა სახელოვანი საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენელს, თბილისის ერთ-ერთი ცნობილი სამშენებლო ტრესტის ყოფილ თავკაცს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ესტრადის ყოფილ ბრწყინვალე ვარსკვლავს, ჩვენი დედაქალაქის უსაყვარლეს კოლორიტს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატს, ჭეშმარიტ მამულიშვილსა და უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

## მერაბ მახარაძეს.

# ალექსანდრე ბერდიშევი გალერეა „ვანდაში“



**გალერეა „ვანდაში“ ალექსანდრე ბერდიშევის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. „პერიმეტრი“ ასე ჰქვია ექსპოზიციას, რომელიც მხატვრის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილ რამდენიმე სერიას აერთიანებს.**

გეომეტრია ალექსანდრე ბერდიშევის ახალი ნამუშევრების მთავარი ხაზია. ფერწერული ტილოები და შერეული ტექნიკით შექმნილი ობიექტები, სულ 42 ნამუშევარი, გალერეაში დამთვალიერებელს 29 ნოემბრამდე ელის.

# უორდროპების საქართველო...

**2019 წლის ბრიტანეთი-საქართველო სეზონის ფარგლებში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენა „უორდროპების საქართველო – ისტორია და დღევანდელობა“ გაიხსნა. დიდი ბრიტანეთის საელჩოს ინფორმაციით, ღონისძიებას ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაქენზი სმითი ეწვია. მან სტუმრებთან ერთად ცენტრში დაცული, უორდროპებთან დაკავშირებული, საარქივო მასალა დაათვალიერა. გამოფენა 19 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება.**

ღონისძიება მარჯორი სკოტ უორდროპის დაბადების 150 წლისა და ოლივერ უორდროპის დაბადების 155 წლის იუბილეს ეძღვნება.




# 9 წლის ვუნდერკინდი

**უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის მქონე ყველაზე მცირეწლოვანი ბავშვის სტატუსს მალე ნიდერლანდებში მცხოვრები 9 წლის ვუნდერკინდი ლორან სიმონსი მიიღებს.**

ლორან სიმონსი რამდენიმე თვეში ეინდჰოვენის ტექნიკურ უნივერსიტეტს დაამთავრებს. ის ელექტროტექნიკის ფაკულტეტზე სწავლობს, უნივერსიტეტში კი სულ რაღაც 1 წლის წინათ ჩააბარა.



საშუალო და უფროსი კლასის 6-წლიანი პროგრამა 9 წლის ვუნდერკინდმა 1.5 წელიწადში დაფარა და გასული წლის ზაფხულში, როდესაც ის 8 წლის იყო, საშუალო განათლების ატესტატი აიღო.

ბიჭის IQ 145-ია, მას ფოტოგრაფიული მეხსიერება აქვს, თავად ლორანის თქმით, მისი საყვარელი საგანი მათემატიკაა, იმიტომ, რომ ის მოიცავს სტატისტიკას, გეომეტრიას და ალგებრას.

# არქტიკული სიცივე ამერიკაში

**არქტიკულმა ჰაერის მასამ აშშ-ის რამდენიმე ნაწილში ჰაერის დაბალი ტემპერატურა გამოიწვია. ციმბირში წარმოქმნილი ცივი ჰაერის მასების შედეგად აშშ-ის ზოგიერ რაიონში ნოემბრისთვის რეკორდული სიცივე და თოვლი მოვიდა. ტემპერატურა ძლიერ დაეცა კანზასში, მიჩიგანსა და ილინოისში. ცუდი ამინდის გამო საგზაო შემთხვევას 4 ადამიანი ემსხვერპლა, 1000-ზე მეტი ავიარეისი კი გაუქმდა. ზოგიერთ რაიონში დაიკეტა სკოლები და სწავლის პროცესი დროებით შეჩერდა.**



კანზასის რამდენიმე ქალაქში ნოემბრისთვის უჩვეულოდ დაბალი ჰაერის ტემპერატურა, მინუს 18 გრადუსი ფიქსირდება.

# წყალდიდობა ვენეციაში



**ვენეციაში წყალდიდობას ორი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ-ერთი გარდაცვლილი 78 წლის ასაკის ქალია. გავრცელებული ინფორმაციით, ის ელექტროშოკისგან დაიღუპა, როდესაც დატბორილი სახლიდან წყლის ამოტუმბვას ცდილობდა. მეორე პირის გარდაცვალების დეტალები ჯერ უცნობია.**

დატბორილ ვენეციაში წყლის დონემ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში უმაღლეს ნიშნულს – 1.87 მეტრს მიაღწია. ქალაქის მერის ლუიჯი ბრუნაროს შეფასებით, ეს ნამდვილი კატასტროფაა. ლუიჯი ბრუნარო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასა და მთავრობისთვის დახმარების თხოვნას აპირებს. ამასთან, წყლის დონის მატებასთან ერთად, ძლიერმა ქარმა ტალღები წარმოშვა. დატბორილია ქალაქის 90 პროცენტი. მსგავსი მასშტაბის წყალდიდობა ვენეციას 1966 წლის შემდეგ არ ახსოვს. მაშინ წყლის დონემ 1.94 მეტრი შეადგინა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ყურადღება!
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაწერად მიმართეთ:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მაცნე“
599 982777
„პლანეტა ფორტე“
579 799908

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9618; ევრო - 3.2645;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8009;
100 რუბლი - 4.6247; თურქული ლირა - 0.5130;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7386;
1000 სომხური დრამი - 6.2092

**ამინდი 14 ნოემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +18 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -2, | დღე | +25 |
| თბილისი: | ღამე | +3, | დღე | +16 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge